ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

წერილის ნომერი: **24-2423304122**
თარიღი: **31/10/2023**

ადრესატი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიგა ფარულავას

ბატონო გიგა,

გეგზავნებათ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2023 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

დანართი: 73 გვერდი.

მამუკა წოწერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2100 ზუგდიდი, რუსთაველის ქ.90. ტელ: (0415) 25 01 23, (0415) 22 21 03,
ელ.ფოსტა: info@zugdidi.gov.ge

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში

2023 წელი

ქ. ზუგდიდი

შესავალი

- **ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები**

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია“, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

- **ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა**

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

- **მერის ანგარიში შედგენილია**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებების საფუძველზე.

- **ანგარიშის სტრუქტურა**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი, როგორც თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ფინანსური გეგმა, უზრუნველყოფს მისი პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული, კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული, ახალგაზრდული, სოციალური, ჯანდაცვის პროექტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსებას. აღნიშნული სფეროები, პროექტები და პროგრამები, როგორც პრიორიტეტული მიმართულებები, განსაზღვრავენ ბიუჯეტის ხარჯვით პოლიტიკასაც. შესაბამისად, მერის ანგარიშის სტრუქტურა მოიცავს:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტსა და სახელმწიფო შესყიდვების მონაცემებს;
- ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებას;
- დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებას;
- განათლების პრიორიტეტის დაფინანსებას;
- კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებას;
- ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებას;

❖ *ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები*

- **საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, როგორც თვითმმართველი ერთეულის მთავარი ფინანსური გეგმა, უზრუნველყოფს ჯანდაცვის, სოციალური, განათლების, კულტურის, სპორტულ-ახალგაზრდული მუნიციპალური პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას. აღნიშნული პროგრამები და პროექტები, როგორც მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებები, ანალოგიურად წინა წლებისა, განსაზღვრავდნენ ბიუჯეტის ხარჯვით პოლიტიკასაც.

მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული საწყისი ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 57882.0 ათასი ლარით. შემდგომ წინა წლის ბიუჯეტიდან 2023 საფინანსო წელში გარდამავალი ნაშთების, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან ადგილობრივ ბიუჯეტზე გადაცემული სახსრების, საგადასახადო შემოსავლების ძირითადი წყაროს - დამატებული ღირებულების გადასახადის თითქმის 800.0 ათასი ლარით ზრდის და სხვა ფაქტორების გავლენის შედეგად განხორციელებული ცვლილებებით, ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანმა მოცულობამ მ. წ. 1 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგინა 798115.5 ათასი ლარი, მათ შორის საკუთარი სახსრებით ბიუჯეტის მოცულობამ 61453.6 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები 1 ოქტომბრის მდგომარეობით (9 თვის მონაცემი) შეადგენს 54794.0 ათას ლარს, რაც წლიური გეგმა-პროგნოზის 76.5%-ია, ხოლო ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობამ შეადგინა 53896.3 ათასი ლარი, რაც უტოლდება წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 79.3%-ს. აქედან საგადასახადო შემოსავლების გეგმა-პროგნოზის შესრულების მაჩვენებელმა თანხობრივად შეადგინა 34684.2 ათასი ლარი, რაც წლიური მაჩვენებლის მიმართ 75.1%-ია. განვლილ 9 თვეში ბიუჯეტმა მიიღო გრანტები (მიზნობრივი-დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, სპეციალური და კაპიტალური ტრანსფერების სახით) თანხობრივად 14701.9 ათასი ლარის ოდენობით, რაც წლიური გეგმა-პროგნოზის 104.8%-ია. ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის შესრულებამ შეადგინა 4510.2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმა-პროგნოზის მიმართ თითქმის 60%-ის ტოლია.

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით ბიუჯეტის გადასახდელების მთლიანმა მოცულობამ თანხობრივად შეადგინა 60124.9 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამების, პროექტების, კონკრეტული სფეროებისა და დარგების დასაფინანსებლად. ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით კი გადასახდელების მოცულობა შეადგენს 45765.7 ათასი ლარს. აღნიშნული თანხიდან 10692.4 ათასი ლარი მიიმართა ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის დაფინანსებაზე.

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პროგრამას მოხმარდა 6026.2 ათასი ლარი, მათ შორის ქალაქ ზუგდიდისა და მუნიციპალიტეტის სოფლების 48 ადმინისტრაციული ერთეულის დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის ღონისძიებებს 4686.7 ათასი ლარი.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ღონისძიებებზე, როგორც ერთერთი მთავარი პრიორიტეტის დაფინანსების კუთხით გაიხარჯა 3652.6 ათასი ლარი, რომელიც მიმართული იქნა სოციალური დანიშნულების 14 პროგრამის, ასევე სამედიცინო დახმარების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფისათვის.

განათლების სფეროს დაფინანსებისათვის გამოიყო 8394.2 ათასი ლარი, აქედან აღნიშნული სფეროს ასიგნებათა ძირითადი ნაწილი, კერძოდ 7168.0 ათასი ლარი მიიმართა სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებაზე.

კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტის სფეროების საბიუჯეტო ასიგნებამ შეადგინა 4585.4 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობას, საბიბლიოთეკო დარგის განვითარებას, სპორტული და ახალგაზრდული პროგრამების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის, კულტურული ღონისძიებების, რელიგიის ხელშეწყობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებას.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე საერთო დანიშნულების ხარჯებისთვის მ.წ. 9 თვეში გამოიყო 12419.9 ათასი ლარი.

მიმდინარე საფინანსო წლის 1 ოქტომბრის მონაცემებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებიდან 12399.4 ათასი ლარი მიიმართა ინფრასტრუქტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობასა და რეაბილიტაციაზე.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე განვლილ პერიოდში სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით განხორციელდა 138 მსხვილი და საშუალო ინფრასტრუქტურული პროექტი, რამაც საგრძნობლად ხელი შეუწყო მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

მუნიციპალიტეტში 2019 წლიდან დანერგილია „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს ფორმირების პრაქტიკა. ეს ფინანსური სეგმენტი წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის უშუალო შემადგენელ ნაწილს.

სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში 2023 წელს გათვალისწინებულია 1000.0 ათასი (ერთიმილიონი) ლარი, რომელიც უნდა მოხმარდეს მიმდინარე წლის 11 და წინა წლიდან გადმოსული 11, სულ 22 საპროექტო ინიციატივის განხორციელებას. აქედან 7 პროექტი უკვე განხორციელებულია, 5 პროექტზე მიმდინარეობს პრაქტიკული სამუშაოები, 3 პროექტის სამშენებლო სამუშაოების ტენდერი დასრულებულია და მიმდინარეობს პრეტენდენტთა შერჩევა-შეფასების პროცესი. ხოლო დანარჩენ 3 პროექტზე გამოცხადებულია ტენდერი სამშენებლო სამუშაოების შესასყიდად.

მიმდინარე წელს დაგეგმილი პროექტების გარკვეული ნაწილი სავარაუდოდ გადავა 2024 საფინანსო წელში.

რაც შეეხება ახალი საპროექტო ინიციატივების მიღებას, ეს ეტაპი დაგეგმილია მიმდინარე წლის ბოლოსთვის.

სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მონაცემები და სტატისტიკური მაჩვენებლები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სხვადასხვა საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვებზე დადებულმა ხელშეკრულებების ჯამურმა თანხამ 19184,2 ათასი ლარი შეადგინა. აქედან, ელექტრონულად განხორციელებული შესყიდვებით ხელშეკრულებები დაიდო 12619,3 ათასი ლარზე. ხოლო გამარტივებული შესყიდვებით 2428,1 ათასი ლარის ოდენობის თანხაზე. ამასთან, კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში განხორციელდა 4136,7 ათასი ლარის შესყიდვა. სულ მომზადდა 336 ხელშეკრულების პროექტი, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიამ, სხვადასხვა სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად გააფორმა მიმწოდებლებთან. აქედან, 76 ხელშეკრულება დაიდო საქონლის შესყიდვაზე, სხვადასხვა სახის მომსახურებაზე 78, სამშენებლო სამუშაოებზე 163, ხოლო საპროექტო მომსახურებაზე 19 ხელშეკრულება.

საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული ტენდერების რაოდენობამ შეადგინა: 221, რომლის ჯამური სავარაუდო ღირებულებაა 13824,8, 9 ათასი ლარი. შედეგად გაფორმდა 12619,3 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულებები. ხელშეკრულებების ღირებულების კუთხით, 470,4 ათასი ლარი იქნა დახარჯული საქონლის, 912,2 ათასი ლარი სხვადასხვა სახის მომსახურების შესყიდვაზე. საპროექტო-სახარჯთარღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 250,6 ათას ლარს, ხოლო სამშენებლო სამუშაოების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულების ჯამი შეადგენს 10986,1 ათას ლარს.

გამარტივებული შესყიდვით დაიდო 130 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 2 428,1 ათასი ლარი, საიდანაც საქონლის შესყიდვაზე დაიდო 31 ხელშეკრულება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 1863,2 ათასი ლარი, ხოლო მომსახურების შესყიდვაზე დაიდო 34 ხელშეკრულება, ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 826,0 ათასი ლარი, საპროექტო-სახარჯთარღიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე დაიდო 1 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 50,0 ათასი ლარი, ხოლო სამშენებლო სამუშაოებზე დაიდო 71 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 1509,9 ათასი ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში მომზადდა 39 ხელშეკრულების პროექტი და განხორციელდა 4136,7 ათასი ლარის შესყიდვა.

➢ ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსება

• ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური

2023 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოიყო 129 970 759 ლარი.

<u>რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტები</u>

2022 წლის 29 დეკემბერს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის N2475 განკარგულებებით (ცვლილება 2023 წლის 19 სექტემბერი, განკარგულება N1689) გამოყოფილ იქნა 7 707 510 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებისათვის გამოიყო 568 008 ათასი ლარი. ჯამში განსახორციელებელი პროექტების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 8 275 518 ლარი.

აღნიშნული თანხით განხორციელდა, დაგეგმილია ან მიმდინარეობს შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

1. **გზების რეაბილიტაცია - 7 636 765 ლარი:**
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, რუხის და ახალაბასთუმნის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილი გზის რეაბილიტაცია - 595 371 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, სამაქაცარიოს უბანში, წმ.გიორგის სახელობის ეკლესიამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 957 795 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დიდინეძის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნაკალის უბანში საავტომობილო გზის საფარის რეაბილიტაცია - 1 002 990 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლის ცენტრამდე გზის რეაბილიტაცია (მე-4 ეტაპი) – 578 598 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჩხოუშის ადმინისტრაციულ ერთეულში,ჭავჭავაძის და დადიანის ქუჩების გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 427 956 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნაწულუკუს ადმინისტრაციულ ერთეულში,ცენტრალური გზიდან სასაფლაომდე მისასვლელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 708 007 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ორსანტიის ადმინისტრაციულ ერთეულში ქიაჩელის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია.(შარშან დაწყებული გზის რეაბილიაცია) – 604 600 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდიდს მუნიციპალიტეტის კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში,კოსტავას ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 649 995 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭავჭავაძის, ც.დადიანის და კ.გამსახურდიას ქუჩებზე საავტომობილო გზის საფარის რეაბილიტაცია - 728 087 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, გოგებაშვილის ქუჩაზე გზის საფარის რეაბილიტაცია - 292 841 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ფირცხალავას ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 216 842 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია, პროექტი მრავალწლიანია 2023-2024, მთლიანი ღირებულება 486 133 ლარი);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნარაზენის (საპერტიოს უბანი, კ. გამსახურდიას, კ. სერგიას და მაცხოვრის ქუჩები) ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 210 526 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია, პროექტი მრავალწლიანია 2023-2024-2025, მთლიანი ღირებულება 3 177 178 ლარი);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყულიშკარის (გამარჯვების უბანი) ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 210 526 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია, პროექტი მრავალწლიანია 2023-2024-2025, მთლიანი ღირებულება 2 320 473 ლარი);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოქტომბრის (საზარქუოს უბანი) ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 210 526 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია, პროექტი მრავალწლიანია 2023-2024-2025, მთლიანი ღირებულება 2 037 062 ლარი);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დიდინეძის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნაკალის უბანში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო (მეორე ეტაპი) სამუშაოების შესყიდვა - 242 105 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია, პროექტი მრავალწლიანია 2023-2024, მთლიანი ღირებულება 1 498 298 ლარი);

2. **მრავალბინიანი ეზოების კეთილმოწყობა - 457 385 ლარი:**
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნაწულუკუს ადმნისტრაციულ ერთეულში, 23-ე ქუჩის N95 კორპუსის N1 და N2 ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები - 158 644 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის კოლხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბუკიას ქ.N1-ში დაN3-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს კეთილმოწყობა - 110 892 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის კოლხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სანკტ-პეტერბურგის ქ.N25-ში მდებარე მრავალსართულიანი

საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობა – 187 849 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);

3. **წყალმომარაგება - 61 368 ლარი;**
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ალერტკარის ადმინისტრაციულ ერთეულში საკანკიოს უბანში , წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაობი (მე-3 ეტაპი) – 16 528 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭაქვინჯის (ბაღმარანის უბანი) და ნარაზენის (საბეჭვაიოს უბანი) ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების ქსელის მოწყობის (მე-2ეტაპი) სამუშაოების შესყიდვა - 44 840 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
4. **სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია - 120 000 ლარი;**
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საჯაიას ქუჩაზე სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა - 120 000 ლარი (მიმდინარეობს);
5. **<u>2022 წლის 26 დეკემბრის N2435 განკარგულება - 2 250 983,43 ლარი:</u>**
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, სობოგას უბანში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების (II ეტაპი) შესყიდვა - 1 170 998,49 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში, კ. გამსახურდიას ქუჩაზე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 1 079 984,94 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
6. **<u>2023 წლის 21 აპრილის N761 განკარგულება - 641 600,76 ლარი:</u>**
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ზედაეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში, ხერგიანის ქუჩაზე წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 213 031,21 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის ენგურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯანაშია ქ. N9-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 113 540,04 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჩიქოვანის ქ. N39-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 76 509,33 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჩიქოვანის ქ. N41-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 85 516,2 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჩიქოვანის ქ. N40/1-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 153 003,98 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
7. **გზების დარჩენილი სამუშაოების მოწყობა - 345 625,09 ლარი:**
   - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში ჭავჭავაძის და დადიანის ქუჩებზე საავტომობილო გზის (პკ0+00-დან პკ3+20-მდე) I ეტაპის

სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 235 135,46 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხეცერას ადმინისტრაციულ ერთეულში, ი. მეუნარგიას ქუჩის (საფირცხელაო-სამელიოს უბანი) საავტომობილო გზის II ეტაპის (პკ7+40-დან პკ21+70-მდე) სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 110 489,63 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);

8. **დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში სკოლების რეაბილიტაცია - 264 693 ლარი:**

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალაბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში, საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 264 693 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);

9. **სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები - 4 989 249,61 ლარი.**

- ქ. ზუგდიდში კ. გამსახურდიას ქ. N213-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია - 90 092,92 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ქ. ზუგდიდში ჭავჭავაძის ქ. N2-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია - 94 118 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ქ. ზუგდიდში ჩიქოვანის ქ. N40/1-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია - 85 469,9 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ქ. ზუგდიდში თამარ მეფის ქ. N8-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მარცხენა ფლანგის რეაბილიტაცია - 35 465,89 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, რუსთაველის ქუჩაზე მცხოვრები გონერ თარბაიას საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია - 14 967,74 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ქ. ზუგდიდი, ჩიქოვანის ქ. N40-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია, ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N9-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია, ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N25-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია, ქ. ზუგდიდი, ქუჯის ქ. N10-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია - 70 354 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საჯაბუოს უბანში, სასაფლაომდე მისასვლელი დაზიანებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 331 800 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბარამიას ქუჩიდან კოსტავას ქუჩის გადაკვეთამდე რკ/ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 458 100 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დიდინექის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე ჯუმზე არსებული საავტომობილო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 867 540 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, ტაბიძის ქუჩაზე გზის დამეწყრილი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 213 520,79 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კიროვის ადმინისტრაციულ ერთეულში, საკორკელიოს უბანში, მ. მესხის ქუჩაზე, მურთაზ ხურცილავას სახლის წინ ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 421 000 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში ბარამიას ქუჩიდან ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში თამარ მეფის ქუჩაზე სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 614 777 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, ზუგდიდი-ახალსოფლის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 468 088,34 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ქ. ზუგდიდის, ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე სინწაზე 120 გრძ. მეტრი ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 113 608 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, სასაფლაომდე მისასვლელ გზაზე ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 54 728 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საქოჩუოს უბანში დაზიანებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 34 506 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯამბულ ნაჭყებიას სახლთან ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 16 776 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, გიორგი ბრწყინვალეს ქ. N43-ის მიმდებარედ ნაპირსამაგრის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 90 280 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ქ. ზუგდიდში, გრიშაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 72 335,16 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯუმის ადმინისტრაციულ ერთეულში, საროგაოს უბანში ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 51 449 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, სახარებაოს და სათირქიოს უბანებში არსებული დაზიანებული ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 131 260 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სანაჭყებიოს უბანში ხიდის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 53 972 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, დუტუ მეგრელის ქუჩაზე ხიდ-ბოგირის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 21 111 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლის ცენტრის მიმდებარედ, ეკლესიამდე მისასვლელ გზაზე დაზიანებული ცენტრალური საავტომობილო ხიდის საყრდენი კედლების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 37 861 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულში, გამსახურდიას და თბილისის ქუჩების დამაკავშირებელი ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 30 083 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში, აბასთუმანი-მენჯის დამაკავშირებელ გზაზე დაზიანებული ცენტრალური ხიდის

საყრდენი კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 81 915 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია);

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში, კობახიძის ქუჩაზე არსებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 97 240 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სასაფლაომდე მისასვლელი გზის დამეწყრილი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 114 385 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბეტონის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა - 222 446 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია);

10. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 1 409 465 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 48 ადმინისტრაციულ ერთეულს ჯამში გამოეყო 1 026 272 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან აღნიშნული პროექტების თანადაფინანსებისათვის გამოიყოფა 383 193 ლარი. ამ ეტაპზე განხორციელებულია 38 პროექტი, სამუშაოები მიმდინარეობს 23 პროექტზე.

11. ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“ – 826 170,5 ლარი

- ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“-ს ,,სოფლის ექიმი’’-ს სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროექტის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჯიხაშკარში და სოფელ ჭკადუაშში არსებული ამბულატორიის შენობა-ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა - 44 935 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“-ს ,,სოფლის ექიმი’’-ს სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროექტის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, სოფელ კოკში ახალი ამბულატორიის შენობა-ნაგებობის მშენებლობის და სოფელ ცაიშში არსებული ამბულატორიის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა - 179 799,93 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“-ს ,,სოფლის ექიმი’’-ს სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროექტის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, სოფელ შამგონაში ახალი ამბულატორიის შენობა-ნაგებობის მშენებლობის სახელმწიფო შესყიდვა - 149 674 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“-ს ,,სოფლის ექიმი’’-ს სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროექტის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, სოფელ დარჩელში ახალი ამბულატორიის შენობა-ნაგებობის მშენებლობის სახელმწიფო შესყიდვა - 158 970,85 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“-ს ,,სოფლის ექიმი’’-ს სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროექტის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურში ახალი ამბულატორიის შენობა-ნაგებობის მშენებლობის სახელმწიფო შესყიდვა - 140 999,99 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“-ს ,,სოფლის ექიმი’’-ს სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროექტის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, სოფელ ანაკლიაში ახალი ამბულატორიის შენობა-ნაგებობის მშენებლობის სახელმწიფო შესყიდვა - 151 790,73 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);

12. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი - 62 389 519,5 ლარი

- ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, Design-Build მეთოდით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდში და სოფელ ერგეტაში 75 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღების მშენებლობისათვის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე, სამშენებლო სამუშაოების შესრულების სახელმწიფო შესყიდვა - 2 687 520,5 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდში სპორტული კომპლექსის მშენებლობა (დარჩენილი სამუშაოები)“ – 12 805 400 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, Design-Build მეთოდით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში 125 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე, სამშენებლო სამუშაოების შესრულების სახელმწიფო შესყიდვა - 3 179 999 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბერში 50 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა - 1 260 000 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო კახათში 50 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა - 1 249 000 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშის 50 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა - 1 227 700 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, Design-Build მეთოდით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის (რწმენა) და სოფელ რიყის საბავშვო ბაღების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისთვის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე შესაბამისი სამუშაოების შესრულების სახელმწიფო შესყიდვა - 4 979 900 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);

- ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, Design-Build მეთოდით, საქართველოს ქალაქებისა და კურორტების განვითარების პროგრამის ფარგლებში, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე შესაბამისი სამუშაოების შესრულების სახელმწიფო შესყიდვა - 35 000 000 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია);

13. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი - 41 958 569,32 ლარი.

- საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-1) თბილისი-სენაკი-ლესელიძის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ322+000-კმ327+500 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები 7 642 992,02 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- შიდასახლემწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-6) ზუგდიდი - წალენჯიხა -ჩხოროწყუ - სენაკის საავტომობილო გზის კმ1+800 - კმ15+000 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 16 205 311,66 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-84) ზუგდიდი-ჯიხაშკარი-ჩხოროწყუს საავტომობილო გზის კმ4-კმ19 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 17 024 835,78 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ზედაეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში ხერგიანის ქუჩაზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 1 085 429,86 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);

14. **საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია - 897 999,21 ლარი:**

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, სოფელ განმუხურში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კუთვნილი ობიექტის გარე ელექტრომომარაგების“ მოწყობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა - 497 999,21 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელი ურთას, ცაიშისა და ცაცხვის წყალმომარაგების სისტემის საპროექტო მომსახურების შესყიდვა - 400 000 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია);

15. **საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია - 2 176 300,9 ლარი:**

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლების: დიდინეძის და ორულუს გაზიფიცირების სამუშაოები - 2 044 800,9 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლების: ერგეტას, ცვანეს და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფლების: ნაფიჩხოვოს, ლედარსალეს და ხანწკის გაზიფიცირების საპროექტო მომსახურება - 131 500 ლარი (დასრულებულია);

ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 3 545 064,68 ლარს:

1. ***გზების რეაბილიტაცია - 494 726,66 ლარი.***

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო (ორმულის შეკეთება) სამუშაოები - 200 000 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დაზიანებული საავტომობილო გზების საფარის რეაბილიტაციისთვის ინერტული მასალების შესყიდვა-მიწოდება - 79 995,8 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, მეუნარგიას ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 74 966,94 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის უჩამონას ადმინისტრაციულ ერთეულებში, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 34 763,85 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- №22 ზონაში არსებული საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოები, ასევე სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციისას, აღნიშნული ზონის მიმდებარედ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები - 105 000 ლარი (სამუშაოები დასრულებულია)

2. **ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 216 054,92 ლარი.**

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დიდინეძის კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდინარე ჯუმის ნაპირიდან წყალდიდობის პერიოდში გადმოსული წყლის გამტარ ნაგებობათა კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები - 134 469 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოხუმის უბანში, საცალფეხო ხიდის მოწყობის სამუშაოები - 3 851 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში, გრიგოლ რობაქიძის ქ. №23-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ეზოში საცალფეხო ხიდის მოწყობის სამუშაოები - 5 010 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, საშენგელიოს უბანში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე არსებული დაზიანებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 39 779,92 (სამუშაოები დასრულებულია);
- ქ. ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში, დიმიტრი უზნაძის ქუჩაზე და ჩხორიას ადმინისტრაციულ ერთეულში, სათორდიო-საგაბუნიოს უბანში ბეჟას ღელეზე არსებული დაზიანებული ხიდ-ბოგირების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 32 945 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია);

3. **წყალმომარაგება - 304 031,5 ლარი:**

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნაცატუს ადმინისტრაციულ ერთეულში, სათოლორაიოს უბანში წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები - 199 991 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საანთიოს უბანში წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 104 040,5 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);

4. **სანიაღვრე სისტემების მოწყობა- რეაბილიტაცია - 487 510,6 ლარი.**

- ქ. ზუგდიდის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჩიტაძის ქუჩაზე სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 16 176 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ქ. ზუგდიდში, კოსტავას ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები - 231 052,97 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- "ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბორჯომის ქუჩაზე სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები" – 15 857 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ქ. ზუგდიდის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცისკარიშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები - 91 933,7 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საფარჯიკიოს უბანში სანიაღრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 61 777 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ქალაქ ზუგდიდში, თეთრი გიორგის ქუჩაზე არსებული სანიაღრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოების სესყიდვა - 34 337 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბაღმარანის უბანში თამარ მეფის ქ. ჩიხში მონოლითური რკ/ბ კიუვეტისა და გზის საფარის ზედაპირიდან წყალგადამყვანი რკ/ბ ცხაურანი არხების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 36 376,93 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);

5. **გარე-განათება - 99 069,9 ლარი:**

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ყოფილი მეფრინველეობის დასახლებამდე მისასვლელ საავტომობილო გზაზე გარეგანათების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 22 000 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, თაბუკაშვილის ქუჩაზე, ეკლესიის მიმდებარედ, გზის გამყოფ ზოლზე გარეგანათების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 77 069,9 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);

6. **ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია: - 303 591,93 ლარი.**

- ქ. ზუგდიდში გორის ქ. №19/7-ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 303 591,93 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);

7. **სამოქალაქო ბიუჯეტი - 865 645,33 ლარი.**

- ქ. ზუგდიდში, თავისუფლების ქუჩის I შესახვევი, N5-ში ბავშვთა გასართობი მოედნის მოწყობის სამუშაოები - 27 280,79 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ქ. ზუგდიდში, სოხუმის და პუშკინის ქუჩების კვეთაზე არსებული სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 43 057,23 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ქ. ზუგდიდში, თაბუკაშვილის ქუჩა N4-ში მდებარე, საბავშვო სათამაშო გასართობი მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 20 966,7 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ქ. ზუგდიდში, ლაზის ქუჩის მონაკვეთის (თბილისის ქუჩიდან თაბუკაშვილის ქუჩამდე) გამწვანების მოწყობის სამუშაოები - 27 467 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ქ. ზუგდიდში, ჯორჯიაშვილის ქუჩა N1-ში ბავშვთა გასართობი მოედნის მოწყობის სამუშაოები - 33 353,91 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ქ. ზუგდიდში, შოთა რუსთაველის ქუჩა N46-ის მიმდებარედ, თბილისისა და შოთა რუსთაველის ქუჩების კვეთაზე არსებული სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 58 300 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ქ. ზუგდიდში, თამარ მეფის და გორგასლის ქუჩების კვეთაზე, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე პარკირების ადგილის და სკვერის მოწყობის სამუშაოები - 37 876,78 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ქ. ზუგდიდში, ჯანაშიას ქუჩა N12-ში ეთნოკულტურული პარკის მოწყობის სამუშაოები - 76 135,21 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ქ. ზუგდიდში, ბესარიონ ჯანაშიას ქუჩა N10ა-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის შიდა ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები - 59 193,91 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ქ. ზუგდიდში, ბარამიას ქუჩა N7-ში, N5 კორპუსის სპორტული სატრენაჟორო-სავარჯიშო კომპლექსის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 32 435 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ქ. ზუგდიდში, ბესარიონ ჯანაშიას N10-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის შიდა ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა - 43 897,06 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- 25 დეკემბრის ქ. N15-ში ჭიშკრისა და ღობის მოწყობა, რევაზ თაბუკაშვილის მე-4 შესახვევში სკვერის მოწყობა, ბუკიას ქ. N5-ში სკვერის მოწყობა "ჩვენი ეზო" – 125 808 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია);
- ლომთათიძის ქუჩაზე ბავშვთა გასართობი მოედანი, თბილისის ქ. N43, მე-13 საბავშვო ბაღში საბავშვო მოედანი სათამაშო ატრაქციონით, ლევან მე-2 დადიანის ქუჩაზე მდებარე N4 და N6

კორპუსების კვერის ტერიტორიაზე ბავშვთა სათამაშო მოედნის მოწყობა - 133 283 ლარი (ტენდერი გამოცხადებულია);

- კობახიძის ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია - 146 590,74 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);

8. პარკები, სკვერები, საბავშვო მოედნები, მემორიალები - 89 652,17 ლარი:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლის ცენტრში მდებარე, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალის კეთილმოწყობის სამუშაოები - 45 852 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში, მეფრინველეობის დასახლებაში (მშვიდობის ქუჩა) პარკისთვის შერჩეული ტერიტორიის შემოღობვის სამუშაოების შესყიდვა - 12 243,69 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდის მუნუციპალიტეტის ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, თავისუფლების ქუჩა №5-ში, მდებარე საბავშვო მოედნის შემოღობვის სამუშაოების შესყიდვა - 9 222 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ქ. ზუგდიდში, თბილისის ქუჩა №1-ში ანდრია დადიანის სახელობის სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 3 400 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში რუსთაველის ქუჩაზე არსებული პარკის შემოღობვის სამუშაოები - 18 934,48 (სამუშაოები მიმდინარეობს).

9. საბავშვო ბაღის შენობების რეაბილიტაცია - 320 333,17 ლარი:

- ქალაქ ზუგდიდში, N16 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 187 999,99 ლარი (სამუშაოები მიმდინარეობს);
- ზუგდიდის №5 და კახათის №2 საბავშვო ბაღის შენობის დემონტაჟიდან სამშენებლო ნარჩენების გატანის მომსახურება - 9 303,92 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე შენობის (საბავშვო ბაღი) სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვა - 78 786,16 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, კ. გამსახურდიას ქუჩა N87-ში მდებარე შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვა - 44 243,1 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);

10. მინი სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია - 62 537 ლარი.

- კოკის ადმინისტრაციულ ერთეულში, მინი სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 62 537 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ზედაეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში დემონტირებული მინი სპორტული მოედნის სამონტაჟო სამუშაოები ჭკადუაშის გზაზე, მდ. ჩხოუშის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე - 28 880 ლარი (სამუშაოები დასრულებულია);
- ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში ჭავჭავაძისა და რუსთაველის ქუჩების კვეთაზე არსებული სტადიონი სარეაბიიტაციო სამუშაოები - 10 640,55 კარი (სამუშაოები მიმდინარეობს.

11. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ექსპერტიზა - 301 911,5 ლარი

➢ დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსება

- ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი”

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მყარი ნარჩენების მართვა ერთ - ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელიც ნარჩენების მართვის თანამედროვე, პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვით ორიენტირებულია მუნიციპალიტეტში სისუფთავის დაცვაზე, ეკოლოგიური მდგომარეობისა და მოსახლეობის მომსახურეობის გაუმჯობესებაზე, ნარჩენების სეპარირებისა და რეციკლირების პროცესების დანერგვით მეორადი რესურსების ცირკულარულ ეკონომიკაში ჩართვაზე.

მყარი ნარჩენების მართვაში უმნიშვნელოვანესია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისუფთავის დაცვა და წარმოქმნილი ნარჩენების გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების რაც შეიძლება მინიმუმამდე დაყვანა. ამ მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, მერიისა და საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მჭიდრო თანამშრომლობით, 2022 წლის ნოემბრიდან 3 მნიშვნელოვანი პროგრამის განხორციელება დაიწყო, ეს პროგრამებია: ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობა, მუნიციპალიტეტის ტექნიკური აღჭურვა ქუჩების დასუფთავებისათვის , ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის; მუყაოსა და ქაღალდის ნარჩენების სეპარირება- რეციკლირების საპილოტე პროექტის განხორციელება. მუნიციპალიტეტში სამივე პროგრამის განხორციელება წარმატებით მიმდინარეობს, კერძოდ:

- გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ 2019 (პროექტი დაიწყო 2019 წლის 14 ოქტომბერს) – 2024 წლებში დაგეგმილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაცხვში მდებარე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული, მომქმედი ნაგავსაყრელის დახურვა და მის ადგილზე ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობა ეროვნული და საერთაშორისო (ევროკავშირის) სტანდარტების შესაბამისად.
- ასევე პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო მუნიციპალიტეტის ტექნიკური აღჭურვა ქუჩების დასუფთავებისათვის, ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის საჭირო კონტეინერებით, დამგველი ტექნიკითა და ნაგავმზიდები, რაც მთლიანად შესრულდა და მუნიციპალიტეტმა მიიღო:
- სხვადასხვა სახის ნაგავშემკრები კონტეინერი 2550 ცალი, უნიფორმა პერსონალისათვის 153 ერთეული,
- რაც მთავარია, მუნიციპალიტეტმა მიიღო 16 ერთეული სპეცტექნიკა, მათ შორის: დახურული ნაგავმზიდი 4 ერთეული; მცირეგაბარიტიანი სატვირთო „ივეგო“ 6 ერთეული; თვლიანი

ტრაქტორები მისაბმელებით 2 ერთეული, ექსკავატორი JCB; დამგველი, წყალმშხეფი და მანის მარკის თვითმცლელი ავტომანქანები;

ტექნიკური აღჭურვის განხორციელებამ მუნიციპალიტეტში მკვეთრად გააუმჯობესა გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობა, როგორც მოსახლეობის ისე ეკონომიკის სექტორის მომსახურეობის ხარისხი, ანაკლია განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლში მაღალი სტანდარტების დაცვით სისუფთავის უზრუნველყოფა.

უნდა აღინიშნოს, რომ მყარი ნარჩენების სეპარირება - რეციკლირების პროცესის დაწყება მუნიციპალიტეტისათვის ერთ - ერთი მთავარი გამოწვევა იყო: 2023 წლის 1 თებერვალს, მყარი ნარჩენების კომპანიის ხელშეწყობით, ახალი 5 წლიანი გეგმის შესაბამისად, დაიწყეო ქაღალდისა და მუყაოს ნარჩენების სეპარირება-რეციკლირების საპილოტე პროექტის განხორციელება.

ამ მიზნით ცენტრმა საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანიისგან დამატებით მიიღო 1 ერთეული 7 $მ^3$ მოცულობის ნაგავმზიდი, 175 ერთეული სპეციალური კონტეინერი, ქაღალდისა და მუყაოს საპრესი დანადგარი და ავტოკარ - დამტვირთველი. ცენტრის მიერ დაქირავებული და დაკომპლექტებული იქნა ქაღალდისა და მუყაოს საპრესი საამქრო. 2023 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით დამუშავებულ - დაპრესილი იქნა და სასაქონლო სახე მიეცა 138 ტონაზე მეტ მუყაოსა და ქაღალდის ნარჩენს. აქედან რეალიზებული იქნა 88 ტონა.

11 თვეში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული იქნა 26,3 ათასი ტონა ანუ 92050 $მ^3$ მყარი ნარჩენი, საიდანაც ნაგავსაყრელში გაზიდულია 88 050 $მ^3$, ხოლო 4 000 $მ^3$ სეპარირებულია და დაექვემდებარა რეციკლირებას. ეს პირველი შემთხვევაა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მყარი ნარჩენების მართვის ისტორიაში, როდესაც შეგროვებული მყარი ნარჩენი მთლიანად არ იქნა გაზიდული ნაგავსაყრელში და 4000 $მ^3$ ქაღალდისა და მუყაოს დაპრესილი ნედლეული დაბრუნდა ცირკულარულ ეკონომიკაში, რითაც ნაკლები ზარალი მიადგა გარემოს, ხოლო ადგილობრივმა ბიუჯეტმა მიიღო 16,4 ათასი ლარის დამატებითი ფულადი შემოსავალი.

ასევე უნდა ითქვას, რომ უახლოეს მომავალში დაგეგმილია პლასტმასის ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და რეციკლირების ანალოგიური პროექტის დაწყება, რაც აგრეთვე დიდი ნაბიჯი იქნება გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლაში და ჩნდება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების დამატებითი წყარო. ამ მიზნით გაგვაჩნია რეზერვში 200 ერთეულზე მეტი 240 - ლიტრიანი კონტეინერები, მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ქ.რუსთავში მდებარე შპს ,,პოლივიმთან„ და ურთიერთმისაღები პირობებით ადვილი შესაძლებელი იქნება პლასტმასის ნარჩენების სეპარირებული შეგროვების დაწყება მიმდინარე წლიდან.

საანგარიშო პერიოდში მყარი ნარჩენების გატანის სერვისი ერთნაირად შეუფერხებლად მიეწოდებოდა ქალაქისა და 48 სასოფლო - ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობას და ქალაქის მეწარმე იურიდიულ და ფიზიკური პირებს, ეკონომიკურ და საჯარო სექტორს.

მომსახურეობა მიეწოდებოდა ქალაქის მოსახლეობის 100 %-ს; სასოფლო - ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობის 90%-ს; კომერციული სექტორის იურიდიულ და ფიზიკურ პირებს - 100%-ით;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქალაქსა და სასოფლო-ტერიტორიულ ერთეულებში ყოველდღიურად დაგვა - დასუფთავებას ექვემდრბარება 45,7 ჰექტარი ფართობი, მათ შორის:

ქალაქის ტერიტორიაზე 31,1 ჰექტარი, სასოფლო - ტერიტორიული ერთეულების მიხედვით კი 14,6 ჰექტარი; დამგველი მანქანით ყოველდღიურად იგვება 10 – 15 ჰექტარი; გარდა ამისა ხელით აკრეფის წესით, სუფთავდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის (48 სასოფლო ტერიტორიული ერთეულების ჩათვლით) 40-50 ჰექტარი; სისტემატიურად იწმინდება ანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლის 6–7 კილომეტრიანი მონაკვეთი;

საკურორტო სეზონის განმავლობაში 2 ჯერ დასუფთავდა შტორმის შედეგად ზღვის ამონაყარისაგან მძიმედ დანაგვიანებული ზღვის სანაპირო ზოლი.

ყოველდღიურად ხდებოდა მყარი ნარჩენების გატანა მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული ყველა სასაფლაოდან, როგორც ქალაქში, ასევე სოფლად;

საანგარიშო პერიოდში, ყოველდღიურად ხორციელდებოდა 48 სასოფლო ტერიტორიული ერთეულების ცენტრების, ცენტრამდე მისასვლელი გზებისა და ქალაქში შემოსასვლელი და გასასვლელი ტრასების მყარი ნარჩენებისაგან ხელით აკრეფის წესით გაწმენდა . სისტემატიურად სუფთავდებოდა მდინარეების ჩხოუშის, კუჩხობონის და სინწის კალაპოტები.

წყალმშხეფი მანქანით, ქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების, სისუფთავის დაცვის, ჰაერში მტვერის კონცენტრაციის შემცირების მიზნით, ყოველდღიურად ირწყვებოდა და ირეცხებოდა ქალაქის ცენტრალური ქუჩები;

ყოველდღიურად ხორციელდებოდა ქალაქის მწვანე ნარგაობის დაცვა მოხეტიალე პირუტყვისაგან. ხორციელდებოდა მეველეების ყოველდღიური მორიგეობა და პირუტყვის მოშორება ქალაქ ზუგდიდში შემოსასვლელი და გასასვლელი მთავარი გზებიდან (ტრასებიდან);

გარდა ზემოთ დასახელებული გეგმით გათვალისწინებული სამუშაოებისა, საანგარიშო პერიოდში ცენტრის ხელმძღვანელობით ჩატარდა 15-ზე მეტი სხვადასხვა მასობრივი ხასიათის აქციები, რომლებიც გარდა ტერიტორიების დასუფთავებისა, ატარებდნენ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობას.

“ზუგდიდდასუფთავების ცენტრი” მოსახლეობაში აქტიურად ანხორციელებს სააგიტაციო - შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებს. ის 2014 წლიდან არის ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმის ,,საქართველოს მწვანეთა მოძრაობა-დედამიწის მეგობრები- საქართველო'', მდგრადი განვითარების კავშირი ,,ეკოხედვა” და ქართველ მკვლევართა კავშირი ,,ორქისი“-ს მიერ განხორციელებულ პროექტებში და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მყარი ნარჩენების მართვის საკითხებში მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაში. მასალები ამის შესახებ სისტემატიურად ქვეყნდებოდა ცენტრის ფეისბუკ გვერდზე. საინფორმაციო - სააგიტაციო ფლაერები რიგდებოდა, როგორც ქალაქის ისე სოფლის მოსახლეობაში, საჯარო სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, კომერციულ სტრუქტურებში და საჯარო თავშეყრის ადგილებში.

2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში სოციალურ ქსელში, ცენტრის ფეისბუკ - გვერდზე აქტიურად შუქდებოდა ნარჩენების მართვასთან, სამუშაოების ყოველდღიურ მიმდინარეობასთან, მუშაობის შედეგებთან და არსებულ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები. სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ პოსტებზე და მასალებზე მოსახლეობის რეაგირება გამოიყენებოდა ცენტრის მუშაობის გაანალიზებისათვის.

საანგარიშო პერიოდში აქტიურად მუშაობდნენ ცენტრის ზედამხედველობისა და კონტროლიორთა სამსახურები. მათი ერთობლივი მუშაობით 11 თვეში ნარჩენების მართვის კოდექსის დარღვევისათვის დაჯარიმებული იქნა 177 იურიდიული და ფიზიკური პირი, ჯარიმების სახით ბიუჯეტში ამოღებულია 14,5 ათასი ლარი.

აბონენტების მომსახურეობით მოსაკრებლების სახით ადგილობრივ ბიუჯეტში მიღებულმა შემოსავალმა საანგარიშო 11 თვეში შეადგინა 642,9 ათასი ლარი.

,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრმა" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან საოპერაციო ხარჯების დაფინანსების სახით 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 1 ოქტომბრამდე მიიღო 5652,8 ათასი ლარი, ხოლო მიმდინარე წლის 9 თვეში 4686,7 ათასი ლარი;

ააიპ ,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრი" მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით, კვლავაც წარმატებით განახორციელებს მასზე დაკისრებული ფუნქციების და მოვალეობების შესრილებას.

- **ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი"**

ა.(ა).ი.პ. "ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის" მიერ საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან სუბსიდიის სახით მიღებულმა დაფინანსებამ შეადგენდა **999 997,10 ლარი**. საკუთარმა შემოსავლებმა - 189 339.6 ლარი. აქედან ბილეთების და აბონიმენტების გაყიდვებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 163 957 ლარი. სატრენინგო დარბაზისა და ღია სივრცის გაქირავების შედეგად მიღებულმა შემოსავალმა - 9 433.88 ლარი. ყვავილების რეალიზაციის შედეგად მიღებულ იქნა 3 855 ლარი. კაფის იჯარიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 4 793.7 ლარი. ბოტანიკურ ბაღში დამზადებული მერქნული რესურსის აუქციონის წესით რეალიზაციის შედეგად მიღებულ იქნა 7 300 ლარი.

საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 153 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 236 939,68 ლარი. აქედან, დაფინასების წყარო ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შეადგენდა 44 195 ლარს, ხოლო საკუთარი შემოსავლებით - 192 744,68 ლარს.

- გამარტივებული შესყიდვა (CMR) - 143 ხელშეკრულება, სულ - 154 848,58 ლარი;
- კონსოლიდირებული ტენდერი(CON) - 8 ხელშეკრულება, სულ - 40 575,30 ლარი;
- ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე(NAT) - 2 ხელშეკრულება, სულ - 41 515,80 ლარი.

ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები:

- ✓ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისის ინიციატივით ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე 2022 წლის ოქტომბერში ჩატარდა დასუფთავების აქცია, რომელშიც მონაწილებას იღებდა როგორც ევროკავშირის მისიის თანამშრომლები, ასევე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის,

ზუგდიდდასუფთავებისა და ბოტანიკური ბაღის თანამშრომლები. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 250-ზე მეტმა ადამიანმა;

- ✓ ოქტომბერში ზუგდიდის ბოტანიკურმა ბაღმა პრემიერის მიერ ორგანიზებულ ფესტივალს ,,ღვინის დღეებს" უმასპინძლა, სადაც გაიმართა ქართული ღვინის დეგუსტაცია, გამოფენა-გაყიდვა, პურის ცხობა, ჩურჩხელის ამოვლება, ჭაჭის გამოხდა, ფარული დეგუსტაცია ღვინის სამოყვარულო კონკურსი. ბაღში ვიზიტორთა შემოსვლა იყო უფასო. ღონისძიებას დაესწრო 7000 მეტი ადამიანი;
- ✓ წინასაახალწლოდ ბაღის მიერ ორგანიზებულ იქნა საბავშვო-გასართობი ღონისძიება, მოსწავლე ახალგაზრდობის ბენდის მიერ შესრულდა საახალწლო კონცერტი, ასევე საღამოს მუსიკალურად აფორმებდა მოწვეული ჯგუფი „გორდელა", მონაწილეობდნენ ზღაპრის გმირები და დარიგდა ბავშვებისთვის 550 სასაჩუქრე ნაკრები. ბაღის ტერიტორიაზე მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების პროდუქცია-საქონლის გამოფენა-გაყიდვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 22 მეწარმე სუბიექტმა. ღონისძიებაზე დასწრება და წინასაახალწლო დღეებში ბაღში ვიზიტორთა შემოსვლა იყო უფასო. ღონისძიებას დაესწრო 5000 მეტი ადამიანი;
- ✓ 2023 წლის თებერვალ-მარტში მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ჟურნალისტთა კლუბმა ''სარკმელი'', საინფორმაციო პლათფორმა ''ჩემი მედიასახლის'' და ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ერთობლივი პროექტი ფოტომარათონი ''კადრის ფესტივალი'' ჩაატარა, მონაწილეობა მიიღო 70 მოსწავლემ. ფოტომარათონში წარმოდგენილი იყო 11 ნომინაცია, რომლის გამარჯვებულებსაც ბოტანიკური ბაღისგან საჩუქრად საკანცელარიო მაღაზიის 100 ლარიანი ვაუჩერები გადაეცათ, ღონისძიება 2 ეტაპად ჩატარდა და ჯამში 200-მდე სტუმარი დაესწრო.
- ✓ eTwinning-ის პროექტის ,,ახალი თაობა წინაპართა ნაკვალევზე" ფარგლებში ჩხორიის საჯაროს სკოლის დირექტორი, მასწავლებლები და მოსწავლეები ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში იმყოფებოდნენ. მოსწავლეებმა დაათვალიერეს არტეფაქტების რეკონსტუქცია, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მენეჯერს თენგიზ ესებუას ჩამოართვეს ინტერვიუ.
- ✓ 26, 27 და 28 აპრილს ზუგდიდის ბოტანიკურმა ბაღმა ისტორიული ევროპული ბაღების კვირეულს უმასპინძლა. კვირეულის ფარგლებში მოეწყო ყვავილების გამოფენა-გაყიდვა, მხატვარ ნინო ქირიას და მისი მოსწავლეების ხატვის მასტერკლასი „ჩემი თვალით დანახული ბოტანიკური ბაღი" - რომლის ფარგლებში მოსწავლეებმა დახატეს ნახატები. ღია სივრცეში მოეწყო მხატვარ ნინო ქირიას ნახატების გამოფენა, ხოლო საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა მოსწავლეთა კონფერენცია სახელწოდებით "მდგრადი განვითარების მიზნები", ჰერბარიუმების გამოფენა, კულტურული და საგანმანათლებლო ექსკურსია ბოტანიკური ბაღის არტეფაქტების დარბაზში. კვირეულის ფარგლებში ბოტანიკურმა ბაღმა 3000-მდე ვიზიტორს უმასპინძლა.
- ✓ 25-26 მაისს ისტორიული ბაღების ევროპული მარშრუტის მე-6 ყოველწლიურ ფორუმზე, რომელიც იტალიის ქალაქ ფლორენციაში ჩატარდა, „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი"-ს წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. ფორუმზე დასწრების მიზანი 2024 წელს მე-7 ფორუმის საქართველოში ჩატარება იყო. მონაწილეებმა წინადადებას ერთხმად დაუჭირეს მხარი და 2024 წლის გაზაფხულზე 2 დღიანი ფორუმი ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ჩატარდება, სადაც მონაწილეობას მიიღებს ასოციაციაში გაწევრიანებული 32 ევროპული ქვეყნის 47 ისტორიული ბოტანიკური ბაღის წარმომადგენლები.
- ✓ 2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე სულ შემოტანილ იქნა 161 ნერგი და 14 632 ძირი ჩითილი. აქედან შესყიდულ იქნა სულ 7847 ჩითილი, ხოლო უსასყიდლოდ გადმოგვეცა სულ 6898 ჩითილი. ხე-მცენარე 61 ძირი, ბუჩქი 52 ძირი,

ბალახოვან-ყვავილოვანი 13 441 ჩითილი, მხვიარა - ვაზის ნერგები 30 ძირი 15 ძირი ოჯალეში და 15 ძირი მაჭყვადიანა.

- ✓ 2023 წელს ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში მოეწყო და აღდგა 11 ხეივანი: ხამიცეპარისის, სულანჟის მაგნოლიის, ხვიარა ვარდების ხეივანი, (დაემატა მეორე ვარდების ხეივანი), ჰორტენზიის, ხეტუხტის, ბოდოკარპუსის, კამელიას, ტუიების, მარაოსებრი პალმის, აზალიების.
- ✓ განხორციელდა ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში არსებული სანიაღვრე თხრილის ამოწმენდა და ქალაქის სანიაღვრე არხზე დაერთება, 1 და 2 სექტორების თარგებში სადრენაჟე (ღია, დახურული) არხების მოწყობა, ჯამში ამოიწმინდა 140 გ/მ ღია ტიპის სადრენაჟო არხი და გაკეთდა 180 გ/მ დახურული ტიპის სადრენაჟო არხი. ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში არსებული სანიაღვრე თხრილის ამოწმენდით, ბილიკის გადაღმა მდებარე თარგების დაერთებით და ქალაქის 500მმ დიამეტრის სანიაღვრე არხზე მიერთებით აღმოფხვრა აღნიშნულ ტერიტორიაზე ნაწვიმარი წყლის ხანგრძლივი ვადით დაგროვება, ტერიტორიის დაჭაობება და ხეების წაქცევის საფრთხე მინიმუმამდე დავიდა. დახურული ტიპის სადრენაჟო არხების მოწყობით და ჭარბი წყლის მოცილებით ოპტიმალური პირობები შეიქმნა მცენარეთა ზრდა-განვითარებისათვის.

- **ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“**

ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს მიზნები და ამოცანები (უფლებამოსილებები) განსაზღვრულია „ცენტრი“-ს წესდებით, რომელიც დამტკიცებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მიერ.

„ცენტრი“-ს წესდების შესაბამისად, „ცენტრი“-ს საქმიანობის ძირითადი მიზნებია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და მასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელება.

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ოქტომბრამდე ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან სულ გაწეულია ხარჯი 4 480 987 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე 2 905 861 ლარი, გაცემულია პრემია 178 708 ლარი, შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურება 257 231 ლარი, გაცემულია შტატგარეშე მუშაკებზე პრემია 10 602 ლარი, გაწეულია ოფისის ხარჯი სულ 417 501 ლარი, (მათ შორის ელექტრო ენერგის ხარჯი 22 069 ლარი, გახარჯული წყლის ხარჯი (შადრევნების) 27 929 ლარი). ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის მოვლა შენახვის ხარჯი 510 076 ლარი (მათ შორის საწვავის ხარჯი 239 369 ლარი, ტრანსპორტის რემონტის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი 232 138 ლარი, ტრანსპორტის დაქირავების, გადაზიდვა-გადაყვანის ხარჯი 16 740ლარი) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობაზე სულ გაწეულია ხარჯი 56 871 ლარი, (მათ შორის აუდიტორული მომსახურების ხარჯი 4 400 ლარი, შენობა-ნაგებობის დაცვის ხარჯი- 42 589 ლარი, ტენდერის გამოცხადების ხარჯი 1 550 ლარი). სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი 7 628 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში გაწეული სულ 139 798 ლარი. (მათ შორის

შეძენილ იქნა მსუბუქი ავტომობილი თანხით 22 801 ლარი. კომპიუტერები -6 752 ლარი, წყლის ტუმბოები-14 275 ლარი, საქართველოს სახელმწიფო დროშები-9 850 ლარი, ძვირადღირებული სამუშაო იარაღები-2 440 ლარი,პრინტერები 3 150 ლარი და ძელსკამები 45 ცალი თანხით 32 400 ლარი, ელექტრო- ბოძები 41 000 ლარი, ხემცენარეები 7 130 ლარი).

საანგარიშო პერიოდში საკუთარი სახსრებიდან შემოსულია 77 946 ლარი (მათ შორის ატრაქციონებიდან 10 412 ლარი, საიჯარო გადასახადი 14 353 ლარი, სასაფლაო მიწის გადასახადი 53 181 ლარი) შესაბამის პერიოდში სულ გაწეულია ხარჯი 58 676 ლარი. (მათ შორის ინტერნეტით სარგებლობის ხარჯი 1 629 ლარი, ატრაქციონის შესაკეთებლად-620 ლარი, ოფისისათვის მცირეფასიანი სამეურნეო საქონლის, საღებავების და ლაქების შეძენა - 18 191 ლარი, ძვირად ღირებული სახარატო ბურღი-524 ლარი, მცირეფასიანი წყლის ტუმბო-560 ლარი, ტექნიკური მარილის შეძენა-747 ლარი, ავტო მანქანების რეცხვა 3330, სასაფლაოების ტერიტორიაზე გამხმარი და დაზიანებული ხეების მოჭრაზე დაიხარჯა 9670 ლარი ადმინისტრაციული შენობის შესასვლელი კარის შეძენაზე - 3000 ლარი, საოფისე ავეჯის შესიდვა- 5500 ლარი, ატრაქციონის ტექნიკური შემოწმების მომსახურეობაზე -7500 ლარი, სასაფლაოებისთვის აბრების შეძენა-2415 ლარი)

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა პატრონობის დამტკიცებული წესის შესაბამისად ხორციელდება სასაფლაოების მოვლა, მოწყობა-პატრონობა. მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ოქტომბრამდე გაცემულია 2428 კვ.მ სასაფლაო მიწის ნაკვეთი თანხით 29 689 ლარი. უფასოდ გაცემულ იქნა 108 კვ.მ მიწის ნაკვეთი.მაქსიმალურად ხორციელდება მონიტორინგი იმ ჭირისუფლების მიმართ რომლებმაც თვითნებურად აიღეს (მიითვისეს) სასაფლაო მიწის ნაკვეთი და რომლებსაც არ აქვთ გადახდილი სასაფლაოს დამატებითი მომსახურეობის გადასახადი. სასაფლაოები პერიოდულად ითიბება და იწმინდება სარეველა მცენარეებისაგან.

2023 წლის 1 ოქტომბრისათვის დებიტორული დავალიანება შეადგენს **6 345** ლარს, მ/შ 2018 წლის-**2 460** ლარი, 2019 წლის- **1 460** ლარი, 2020 წლის-**930** ლარი, 2021 წლის-15 ლარი, 2022-**15** ლარი, 2023 წლის - **1 480** ლარი. აღნიშნული თანხების ამოსაღებად შექმნილია მუშა ჯგუფი.

უნდა აღინიშნოს, რომ 2022-2023 წლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებებისა და საკუთარი შემოსავლების ხარჯვა ხორციელდებოდა გეგმაზომიერად და მიზნობრივი დანიშნულებით და სახაზინო მომსახურების ელექტრონული სისტემა კი ხელს უწყობდა საფინანსო დისციპლინის განმტკიცებას.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების მიზნით გაფორმდა სულ 185 (ას ოთხმოცდახუთი) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება. შესყიდვის ობიექტების ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით, შეადგინა 1 368 001, 10 (ერთი მილიონ სამას სამოცდარვაათას ერთი და 10 თეთრი) ლარი. აქედან საკუთარი შემოსავლებიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს 59 614,6 (ორმოცდაცხრამეტი ათას ექვსას თოთხმეტი ლარი და 60 თეთრი) ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნება 1308 386,50 ლარს.

საანგარიშო პერიოდში „ცენტრი“-ს სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულ იქნა 689 შიდა სამართლებრივი აქტი (ბრძანება, ინსტრუქცია, წესი და ა.შ) და

მიღებულ იქნა 3706 სხვადასხვა სახის კორესპოდენცია, რომელიც განხილულ იქნა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად „ცენტრი“-ში დასაქმებულ და სამუშაო სივრცეში მყოფ პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში ა(ა)ი.პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს მიერ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველდღიურად ხდებოდა გარე-განათების ქსელის მოწყობა, მოვლა, ექსპლუატაცია-რეაბილიტაციასთან და ქსელის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამუშაოებისა და საჭირო ღონისძიებების განხორციელება და ამ მიზნით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 200 283 (ორასი ათას ორას ოთხმოცდასამი) ლარი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებულია 8830 მეტრი სანიაღვრე არხის ამოწმენდა, 113 165 მეტრი გზის მოსწორებითი სამუშაოები, 800 მეტრი ზღვის სანაპირო ზოლის მოწესრიგების,1200 კ/მეტრი ტერიტორიის მოსწორების სამუშაოები, მდინარეების კალაპოტის ამოწმენდისა და ნაპირსამაგრი სამუშაოების პროცესში ადგილზე დამუშავებულ იქნა 41 269.25 მ/კუბი ინერტული მასალა.

განხორციელდა 6 საბავშვო ბაღის დემონტაჟთან და სამშენებლო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანასთან დაკავშირებული სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში „ცენტრი“-ს მიერ განხორციელებულ იქნა სხვადასხვა სახის ხე-მცენარეების, ყვავილების ნერგების, ჩითილების შეძენა რაშიც გახარჯულ იქნა 25 340 ლარი.

სისტემატიურად ხორციელდება მონიტორინგი ს.ს.ი.პ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაქმებულ სოციალურად დაუცველ შრომისუნარიან ბენეფიციართა საქმიანობაზე, რომლებიც ახორციელებენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობასთან (მოწესრიგებასთან) დაკავშირებულ სამუშაოებს.

ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს მიერ გრძელდება წესდებით გათვალისწინებული და ასევე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული კორესპოდენციის (წერილობითი დავალებების) საფუძველზე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობითი სამუშაოების განხორციელება.

➢ განათლების პრიორიტეტის დაფინანსება

- **განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილება**

საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა:

1. მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით ზუგდიდის საჯარო სკოლების წარმატებულ მასწავლებელთა დაჯილდოება; ბიუჯეტი: 18 988 ლარი.
2. სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაქვინჯის საჯარო სკოლის ღობის შეღებვის სამუშაოების თანადაფინანსება. ბიუჯეტი: 2109,41 ლარი.
3. დედაენის დღე. ბიუჯეტი: 958,50 ლარი.
4. მასწავლებელთა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „თანამშრომლობითი და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა“. ბიუჯეტი: 15 631,60 ლარი
5. საზაფხულო ტექნოლოგიური ბანაკი. ბიუჯეტი: 33 580 ლარი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

- მერის სახელობის სტიპენდიანტების მიღება მერიაში. ბიუჯეტი: 2 766 ლარი.

- ახალგაზრდების (სტუდენტების) ფინანსური ხელშეწყობა - მერის სტიპენდია;

  მერის სტიპენდიისთვის 2022 წლის ოქტომბერიდან დეკემბერის ჩათვლით გაიხარჯა 61 500 ლარი. ხოლო მიმდინარე წელს 123 000 ლარი.

  - ქვეყნის ფარგლებს გარეთ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა; ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 13 სტუდენტი, გაცემულმა თანხამ შეადგინა 36 000 ლარი. ხოლო მიმდინარე წელს - 16 500 ლარი.
- არაფორმალური განათლებისა და პროფესიული შესაძლებლობების განვითარების ფინანსური ხელშეწყობა; ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ერთი სტუდენტი და გაიხარჯა 2000 ლარი. ხოლო მიმდინარე წელს - 16 228 ლარი.
- საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ, ჰუმანიტარულ და ტექნოლოგიურ სფეროებში განსაკუთრებული შესაძლებლობების და მიღწევების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის ფულადი ჯილდოს გაცემა; ქვეპროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში ფულადი ჯილდო გაიცა 7 ახალგაზრდაზე, რომელიც ჯამში შეადგინს 3 995 ლარს.

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მედალოსანი მოსწავლეების დაჯილდოება. ბიუჯეტი: 16 500 ლარი.

- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერისტეტის ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან 2022 წლის 9 ნოემბრს გაფორმდა ხელშეკრულება N 65 და ჩაერიცხა 30 000 ლარი, რომელიც მიიმართა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაზე, არსებულის საგანმანათლებლო პროგრამები მოდიფიცირებაზე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით მოწვეული აკადემიური პერსონალის, დარგების სპეციალისტების ფინანსური ხელშეწყობისთვის. უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის ფასადის რეაბილიტაციის პროექტის განსახორციელებლად თანადაფინანსებამ შეადგინა 30 000 ლარი. პროექტი მიმდინარეობს და დასრულების შემდეგ უნივერსიტეტი წარმოადგენს შესრულების ანგარიშს.

საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა დელეგირებული თანხებით (ტრანსპორტი)

პროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 660 103,81 ლარი. მიმდინარე წელს აღნიშნული მომსახურების ასანაზღაურებლად ჯამში გახარჯულია 1 153 710,19 (ერთი მილიონ ასორმოცდაცამეტი ათას შვიდას ათი ლარი და 19 თეთრი) ლარი.

- **ა(ა)იპ „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 63 საბავშო ბაღი; რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი. 4 375 ბავშვთა კონტიგენტით; 162 სააღმზრდელო ჯგუფით;სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 1005 თანამშრომელი, 2022 წელს განხორციელდა საბავშვო ბაღის თანამშრომელთა სახელფასო ზრდა 13%დან-20%მდე. საბავშვო ბაღის გამგეებს და აღმზრდელ-პედაგოგებს თანამდებობრივი სარგო 100 ლარით გაეზარდათ. მიმდინარე წელს საბავშვო ბაღის პერსონალს სახელფასო სარგო გაეზარდათ 100 ლარით.

ბაღებში სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით, სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა 15 და კოკის საბავშვო ბაღებში. 15 ს/ბაღში მოეწყო სააღმზრდელო ჯგუფის ოთახები, ხოლო კოკის ს/ბაღში მოწესრიგდა სველი წერტილები; შესრულებული სამუშაოების საერთო ღირებულებამ შეადგენა - 16 741. 74 ლარი; ნარაზენის 2 ს/ბაღში ჩატარდა სახურავის რეაბილიტაცია - 8 062,30 ლარის ღირებულების. განხორციელდა ყულიშკარის საბავშვო ბაღში არსებული ამორტიზირებული აბზოცემენტის სახურავის დემონტაჟი და მოეწყო პროფილირებული თუნუქის სახურავი.სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა - 65 031. 74 ლარი. 12 ს/ბაღში გამოიცვალა ცენტრალური გათბობის ქვაბი,რომლის ღირებულებამ შეადგინა - 9 835 ლარი. სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა რიყის საბავშვო ბაღში, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 43 347 ლარს. ასევე რიყის საბავშვო ბაღში დასრულდა შენობის რეაბიალიტაცია, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 37 409, 20 ლარს. *დანიის* ლტოლვილთა *საგჭოს მხარდაჭერით სრულად რეაბილიტირებულია N1საბავშვო ბაღი, რომელიც აღიჭურვა 42 000 ლარის ღირებულების ავეჯით.*

სურსათის ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციის შესაბამისად, საბავშვო ბაღების სამზარეულოებში დამონტაჟდა გამწოვი სისტემა და წყლის ელექტრო გამაცხელებლები - 4 244 ლარის ღირებულების. სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის მიზნით, საბავშვო ბაღებში დაინერგა (HACCP) -ის სტანდარტის სისტემა ,რაც საერთაშორისოდ აღიარებული სურსათის უვნებლობის მართვის სისტემაა, რომელიც სურსათის წარმოების პროცესში პოტენციური საფრთხეების დადგენას, მათ პრევენციასა და აღმოფხვრას გულისხმობს.

2022 წლის 8-10 აგვისტოსა და 1-3 ნოემბერს ს/ბაღების გამგეებს, მზარეულებს და ასევე ჯანდაცვის სამსახურის თანამშრომლებს ორ ეტაპად ჩაუტარდათ ტრენინგი საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის დანერგვის მიზნით, ჰიგიენის ზოგადი წესით დადგენილი მოთხოვნებისა და HACCP-ის სისტემის პრინციპების, ინტერპრეტაციისა და გამოყენების საკითხებზე. ტრენინგს უძღვებოდნენ ექსპერტ-კონსულტანტები ლალი შამუგია, ბაია აბაშიძე და თამარ ბერძენიშვილი. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 237 თანამშრომელმა. HACCP სტანდარტაბის დანერგვის საკონსულტაციო და თანამშრომელთა გადამზადების მომსახურეობამ შეადგინა - 113 399 ლარი.

დაინერგა აღსაზრდელთა მიღების ორეტაპიანი ელექტრონული რეგისტრაცია.

პირველ ეტაპზე რეგისტრაციის უპირატესობით სარგებლობენ: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 100000-ზე ქვევით სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის ბავშვები(სოციალურად დაუცველები); სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ოჯახის ბავშვები; იმ ოჯახის ბავშვები, რომელთა შვილი (შვილები) სარგებლობენ იმავე სკოლამდელი დაწესებულების მომსახურებით; საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე მშობლების შვილები; ,,მარჩენალდაკარგული“ სტატუსის მქონე ბავშვები; იძულებით გადაადგილებული პირები; მეორე ეტაპზე სხვა დანარჩენი.

ვებგვერდის (zugdidikids.ge) დამზადების საფასური შეადგენს 3 750 ლარს. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან შესყიდულია ავტომობილი ,რომლის ღირებულება შეადგენს 65 400 ლარს.

უახლოეს პერიოდში, დაგეგმილია ეტაპობრივად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების საგანმანათლებლო პერსონალის სრულად გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

- **კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსება**

- **განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება**

სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსების პროგრამა

01.10.2022-01.01.2023

ამ პერიოდში დაფინანსებული პროექტები:

1. ა(ა)იპ „სამოქალაქო აქტივობისა და თანასწორობის ცენტრი“

   პროექტი: „ახალგაზრდების დემოკრატიული განვითარება“. ბიუჯეტი: 3410 ლარი

2. ა(ა)იპ ,,ახალგაზრდული ასოციაცია დრონი“

   პროექტი: “Media Power Youth - ახალგაზრდები და მედია“, საერთაშორისო გამოცდილება მედიის მიმართულებით. ბიუჯეტი: 2488 ლარი

3. ა(ა)იპ ,,ადგილობრივი განვითარების ჯგუფი“

   პროექტი: ,,ახალგაზრდები ბარიერს მიღმა და მათი სოციალური ინტეგრაცია ადგილობრივ საზოგადოებაში“ . ბიუჯეტი: 4930.52 ლარი

4. ა(ა)იპ ,,საქართველოს ფეინთბოლის ეროვნული ფერედაცია“

   პროექტი: ადგილობრივი ჩემპიონატი ფეინთბოლში . ბიუჯეტი: 4550 ლარი

5. ა(ა)იპ ზუგდიდის ჩოგბურთის სამოყვრულო კლუბი

   პროექტი: ზუგდიდის საჩოგბურთო სამოყვარულო ტურნირი. ბიუჯეტი: 3314 ლარი

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით განხორციელებული ღონისძიებები:

  1. ,,MASTER LEAGUE”-ის ჩემპიონატში, ზუგდიდის სამოყვარულო ფეხბურთის გუნდის მონაწილეობა. ბიუჯეტი: 700 ლარი

  2. ა(ა)იპ დასაქმებისა და გადამზადების ცენტრი პროექტი: ,,ახალგაზრდული სათათბირო 2022“. ბიუჯეტი: 20 000 ლარი

  3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ამპუტანტ ფეხბურთელებთა ფინანსური ხელშეწყობა. ბიუჯეტი: 14 000 ლარი

01.01.2023 - 01.10.2023

ამ პერიოდში დაფინანსებული პროექტები:

1. ა(ა) იპ საერთაშორისო ბიზნეს სკოლა

პროექტი ,,პირადი ფინანსებისა და ცხოვრებისეული სიტუაციების მართვის საშაბათო სკოლა ახალგაზრდებისთვის“. ბიუჯეტი: 4470 ლარი.

2. ა(ა)იპ ზუგდიდის ჩოგბურთის სამოყვრულო კლუბი პროექტი: საჩოგბურთო სამოყვარულო ტურნირი. ბიუჯეტი: 2893 ლარი

3. ა(ა)იპ საქართველოს სტუდენტური პარლამენტი პროექტი: „I see you - აღმოაჩინე საქართველო - მარტვილის მუნიციპალიტეტი“ . ბიუჯეტი: 4500 ლარი

4. ა(ა)იპ „სამეგრელოს ტურიზმის განვითარების ცენტრი“ პროექტი: სკაუტური ბანაკი_„ავატარი 2023 - დაკარგული ჰარმონია“ . ბიუჯეტი: 4950 ლარი

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით განხორციელებული ღონისძიებები:

1. მთის ეტლი-თხილამურის ჩემპიონატი-2023 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სრულფასოვანი ინტეგრაცია საზოგადოებაში, ასევე მათი ჩართვა სპორტის სხვადასხვა სახეობებში. ბიუჯეტი: 2975 ლარი

2. ,,MASTER LEAGUE”-ის ჩემპიონატში, ზუგდიდის სამოყვარულო ფეხბურთის გუნდის მონაწილეობა. ბიუჯეტი: 1500 ლარი.

3. საქართველოს დრიფტის ჩემპიონატი . ბიუჯეტი: 15 000 ლარი

- განყოფილების მიერ განხორციელებული ღონისძიებები:

1. გასართობი ღონისძიება სკოლის კურსდამთავრებულთათვის (ბოლო ზარი) ბიუჯეტი: 28 655 ლარი

2. ველორბოლა. ბიუჯეტი: 4760 ლარი

3. ,,დასაქმების ახალგაზრდული ფორუმი“

ბიუჯეტი: 2442 ლარი (1722 საფურშეტე მომსახურეობა)

4. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე . ბიუჯეტი: 29735 ლარი

5. საქართველოს ჩემპიონატი კომპაკ სპორტინგში (A,B და C კატეგორია)

ბიუჯეტი: 10 000 ლარი

- საქართველოს ჩემპიონატი დოღში - ,,ზუგდიდი 2022“. ბიუჯეტი: 21914 ლარი
- სახცენოსნო კლუბ ,,ხარებას“ ფინანსური ხელშეწყობა. ბიუჯეტი: 60 000 ლარი

- **ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“ ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს ბავშვთა და მოზარდი თაობის მეთოდური აღზრდისა და დაოსტატებისათვის, საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის პროფილის შესაბამისად. საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის მიზანია ფეხბურთის, როგორც მასობრივი სპორტის განვითარება, ოფიციალურ საფეხბურთო მატჩებში და სხვადასხვა რანგის საფეხბურთო ტურნირებში მონაწილეობის მიღების უზრუნველყოფა. აქტიური ჩართულობა ახალგაზრდების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაში, თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში. საფეხბურთო კლუბის მიზანია სპორტული მონაცემების მქონე ახალგაზრდების გამოვლენა, მათი მხარდაჭერა, სპორტსმენთათვის მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა, საწვრთნელი ფორმებით უზრუნველყოფა, სამედიცინო დიაგნოსტიკური მომსახურების უზრუნველყოფა და მწვრთნელთა გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“ ასპარეზობს ეროვნულ ლიგა 4-ში, მზადება ჩემპონატისთვის დაიწყო მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან. პირველ წრეს გუნდი დაკომპლექტდა ძირიდად ადგილობრივი ფეხბურთელებით და 5 მოწვეული ფეხბურთელით. დაკომპლექტებისთანავე ინტენსიურად მიმდინარეობდა ვარჯიშები და ამხანაგური მატჩები, მიმდინარე წლის 6 აპრილს დაიწყო ლიგა 4-ის ოფიციალური მატჩები და 13 ოფიციალური საშინაო და გასვლითი მატჩების შედეგად გუნდმა სატურნირო ცხრილში დაიკავა 3-ე ადგილი 24 ქულით, აქედან 7 მოგება, 2 წაგება და 4 ფრე. ლიგა 4 -ის 2-ე წრე განახლდა 16 აგვისტოს, „ოდიში 1919“-ის ანგარიშზეა 2 მოგება, 3 წაგება და 2 ფრე, შედეგად გუნდი სატურნირო ცხრილში იკავებს 4-ე ადგილს. სეზონის დასრულებამდე დარჩენილია 2 საშინაო და 4 გასვლითი მატჩი.

სპორტული შედეგიდან გამომდინარე კლუბს გაუჩნდა რეალური შანსი ლიგა 3-ში დაწინაურებისა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დებულების თანახმად ლიგა 3-ში ასპარეზობისთვის კლუბს ესაჭიროება 2024-2025წწ ეროვნული ბ ლიცენზია. ლიცენზირების პროცესისათვის მზადება დაიწყო აგვისტოს შუა რიცხვებიდან, იგზავნება დოკუმენტაცია ზოგად, სამართლებრივ, საკადრო-ადმინისტრაციულ, სპორტულ, იფრასტრუქტურულ და ფინანსურ კრიტერიუმებში. პირველი ეტაპი კლუბმა წარმატებით გაიარა.

რაც შეეხება, კლუბის საფეხბურთო სკოლას, წლის დასაწყისიდან გუნდები ჩართულები არიან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა შეჯიბრში. კლუბს ძირითადი გუნდის გარდა ჰყავს 7 ასაკობრივი კატეგორიის გუნდი:

- U10,U11,U12,U13,U14 - იღებს მონაწილეობას სრფფ-ს მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა შეჯიბრში;
- U15 და U17 იღებს მონაწილეობას სფფ-ს მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა ლიგაში, კერძოდ, „ვერცხლის ლიგა“-ში

ასაკობრივი ლიგის გუნდებმა , კერძოდ U15 და U17 სეზონი დაიწყეს 18 მარტს, პირველი სეზონი დაასრულეს 7-ე ადგილით და მიმდინარე წლის 23 სექტემბერს განახლდა მეორე სეზონი და გუნდები დღეის მდგომარეობით იკავებენ 2-ე ადგილს.

- U10 -მა ჩაატარა 14 მატჩი , აქედან ჩვენს ანგარიშზეა 10 მოგება, 3 წაგება და 1 ფრე;
- U11 -მა ჩაატარა 14 მატჩი , აქედან ჩვენს ანგარიშზეა 6 მოგება, 6 წაგება და 2 ფრე;
- U12 -მა ჩაატარა 18 მატჩი , აქედან ჩვენს ანგარიშზეა 8 მოგება, 4 წაგება და 6 ფრე;
- U13 -მა ჩაატარა 21 მატჩი , აქედან ჩვენს ანგარიშზეა 10 მოგება, 8 წაგება და 3 ფრე;
- U14 -მა ჩაატარა 10 მატჩი , აქედან ჩვენს ანგარიშზეა 7 მოგება, 1 წაგება და 2 ფრე.

ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“ ყოველწლიურად რანგირების მიხედვით აფინანსებს სკოლებს. 2022 წელს კლუბმა გაიარა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სკოლების კატეგორიზაცია და კლუბს მიენიჭა III კატეგორია. სკოლებისა და აკადემიის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში ს/კ “ოდიში 1919” დაფინანსდა , ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ 10 000 ლარით (ზედა ზღვარი). აღნიშნული თანხით კლუბმა სხვადასხვა ასაკობრივი გუნდებისთვის შეისყიდა სავარჯიშო ბურთები და სპორტული ზედა-ქვედა (U10,U11,U12,13,U14).

ბავშვთა საფეხბურთო სკოლის გაძლიერებისათვის უმნიშვნელოვანესი პირობაა ინფრასტრუქტურის განვითარება. მიმდინარე წლის მონაცემებით კლუბის ბალანსზეა:

სოფ. ჭითაწყარში მდებარე საფეხბურთო მოედანი - უძრავი ქონების რეგისტრაციის ნომერი 43.14.43.219, საერთო ფართობი: 24908,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1, განაშენიანების ფართი 54,41 კვ.მ - მერიის თანადგომით მოხდა აღნიშნული სტადიონის შემოღობვა, კლუბმა საკუთარი ძალებით მოაწესრიგა სტადიონზე არსებული შენობა-ნაგებობა და მიმდებარე ტერიტორია, კერძოდ დამონტაჟდა სკამები (მაყურებლების, სათადარიგო ფეხბურთელების და მწვრთნელების), გარე-განათება, ასევე საფეხბურთო მოედნის ირგვლივ განთავსდა სხვადასხვა ორგანიზაციების სარეკლამო ბანერები, საფეხბურთო კარებს უკან დამონტაჟდა ბურთის დამცავი ბადეები. სტადიონზე გაყვანილ იქნა სანიაღვრე არხები.

თბილისის ქუჩაზე მდებარე 1574,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს/კ 43.31.55.561.

სოფ. ზედაეწერში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა 16 183,00 კვ.მ ს/კ 43.01.47.059

კლუბის ბალანსზეა 2 ავტობუსი: ISUZU TURKUAZ სახელმწიფო ნომრით - SZ047ZS და ISUZU BOGDAN სახელმწიფო ნომრით HH174HN. სატრანსპორტო საშუალებები ემსახურება სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის გუნდების ტრანსპორტირებას. 200 - მდე ფეხბურთელი სარგებლობს ზემოაღნიშნული მომსახურეობით.

2023 წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელშეწყობით კლუბს მიეცა შესაძლებლობა შეეთავაზებინა ფეხბურთელებისთვის გამართული ინფრასტრუქტურა - რუხის აკადემიის საფეხბურთო ბაზა, რამაც 2023 წელს გაზარდა ფეხბურთელთა მომართვიანობა.

- **განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის განყოფილება**

კულტურული ღონისძიებების დაფინანსება

01.10.2022- 01.01.2023

საშობაო და საახალწლო ღონისძიებები

ღონისძიების ბიუჯეტი: 30 050 ლარი.

01.01.2023- 01.10.2023

- დედის და ქალთა დღე . პროექტი: „დედაჩვენი - ინოლა“. ბიუჯეტი: 14 850 ლარი.
- პირველი ქართული რეფერენდუმისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაბადების დღე
- ევროპის დღე
- ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლების „იმედი“ და „ცისკარი“ სახელობითი ვარსკვლავის გახსნა. ბიუჯეტი: 9 700 ლარი.
- ზუგდიდობა 2023
  ღონისძიების კულმინაცია იყო საპატიო წოდების მინიჭების ცერემონია და გალა კონცერტი, ეკა მამალაძის, ნატალია ქუთათელაძის, ანსამბლი ,,ოდოიასა'' და ქართული სცენის ლეგენდების ნანი ბრეგვაძისა და ქართული ნაციონალური ბალეტი სუხიშვილების მონაწილეობით. კონცერტის სრული ტრანსლირება მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტის სოციალურ არხებზე. ღონისძიების ბიუჯეტი: 378 499 ლარი.
- სხვადასხვა ღონისძიებებში გაწეული ხარჯები.
  სულ: საანგარიშო პერიოდში გახარჯულია 435 285,5 ლარი.

კულტურის განყოფილების პატრონაჟით ჩატარებული ღონისძიებები

- აფხაზეთობა.
- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე
- სულგუნის ფესტივალი
- ანაკლია-განმუხურის საზღვაო სეზონის გახსნა
- პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის III საერთაშორისო ფესტივალი ,,კოლხი და ...“
  ბიუჯეტი: 250 ლარი. განმახორციელებელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ ,,ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი''.
- კლასიკური მუსიკის II ფესტივალი. ბიუჯეტი 207, 50 ლარი. განმახორციელებელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ ,,ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი''.
- სამეჯლისო -სპორტული და თანამედროვე ცეკვების საერთაშორისო ფესტივალი.

ს.ს.ი.პ. ,,ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის“ ხელშეწყობის პროგრამა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და ს.ს.ი.პ. ,,ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრს“ შორის 2023 წლის 5 მაისს გაფორმებული N 28 ხელშეკრულების მიხედვით უნდა განხორციელდეს დაფინანსება ორ ეტაპად. პირველი ეტაპის თანხა 26 000 (ოცდაექვსი ათასი) ლარი უკვე გადარიცხულია. აღნიშნული თანხით თეატრმა დადგა სპექტაკლი „ყვავილები ელჯერნონისთვის“. დაფინანსდა საგასტროლო ხარჯები თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, გასტროლები ქალაქ თბილისში შოთა რუსთაველის სახელობის და ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრებში, ასევე - სვანეთში.

ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროგრამა

- „EU4Culture“ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტია, რომლის მთავარი ფოკუსი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების რეგიონულ ქალაქებში კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების მხარდაჭერაა. პროექტი ხორციელდება საქართველოში გოეთეს ინსტიტუტის (მთავარი პარტნიორი და პროექტის განმახორციელებელი), დანიის კულტურის ინსტიტუტის, ჩეხეთის ცენტრებისა და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის მიერ. აღსანიშნავია, რომ „EU4Culture“ პროექტის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო აღმოსავლეთ პარტნიორობის 5 ქვეყნის: აზერბაიჯანის, მოლდოვის, საქართველოს, სომხეთისა და უკრაინის 70-მა ქალაქმა. სტრატეგიების შეფასების შემდეგ, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების კონსორციუმმა, ზუგდიდი გამარჯვებულ ქალაქად გამოავლინა.
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, დონორ ორგანიზაციასთან (გოეთეს ინსტიტუტი) გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების (საგრანტო ხელშეკრულება: GE_CDS_EU174) ფარგლებში და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, 2022 წლის 20 მაისს, #56 განკარგულებით დამტკიცებული ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიისა და სტრატეგიის სამოქმედო გეგმის, ასევე სტრატეგიის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად პირველი ტრანშიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში დაზუსტებულია 70 703 (სამოცდაათი ათას შვიდას სამი) ლარი, რომელიც გაიხარჯა შემდეგ აქტივობებში:

1. გაფორმდა ხელშეკრულება სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან უნივერსიტეტის ბაზაზე ახალგაზრდებისა და ზრდასრულთა სწავლებასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო მომსახურების შესყიდვის შესახებ. რაც გულისხმობს:

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და პოპულარიზაციის მიზნით თემატური სტუდენტურ/ახალგაზრდული კლუბების ჩამოყალიბება,
- ზუგდიდის გასტრონომიის აკადემიის დაარსება და ამ მიზნით სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა.
- მეგრული გასტრონომიის მიმართულებით კვლევების განხორციელება და ციფრული ბაზის შექმნა ზუგდიდის გასტრონომიის მუზეუმის კონცეფციის შესამუშავებლად,
- შემოქმედებითი ინკუბატორის დაარსება სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის,
- სტუდენტთა ინოვაციური მხარდაჭერის საგრანტო პროგრამის დაფუძნება სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე, ბიუჯეტი: 30 931ლარი.

სხვა აქტივობები:

1. გამოცხადდა კონკურსი ,,ზუგდიდის შემოქმედებითი სივრცეებისა და კლასტერების განვითარება და შემოქმედებითი თანამშრომლობის ხელშეწყობა“ , რომელიც მოიცავდა ორ მიმართულებას.

1. ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის ,,EU4culture'' ფარგლებში ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგია 2022–2026 და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ფარგლებში განხორციელებული გამოფენების, საერთაშორისო ბაზრობების, ფესტივალების, ტრენინგების, სემინარების, მასტერკლასებისა და სხვა ღონისძიებების წარმოჩენა-პოპულარიზაციის მიზნით შესყიდულია სხვადასხვა ტექნიკური აღჭურვილობა და საინფორმაციო ბანერები - ბიუჯეტი 14 719 (თოთხმეტი ათას შვიდასცხრამეტი) ლარი.

4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ მოამზადა და წარადგინა განაცხადი იუნესკოს (UNESCO) შემოქმედებითი ქალაქების ქსელში ზუგდიდის გასტრონომიის შემოქმედებით ქალაქად წარდგენის შესახებ (შერჩევის პროცესის საბოლოო შედეგებს იუნესკო 2023 წლის ოქტომბერში გამოაცხადებს);

5. ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში შეიქმნა კულტურული მემკვიდრეობის, გასტრონომიის და რეწვის თემატური ჯგუფები, რომელშიც ამ ეტაპზე გაწევრიანებულია 53 მოქალაქე.

6. გამოიცა ,,CD'' პრინტაბელურ კომპაქტდისკებზე ჩაწერილი მეგრულენოვანი აუდიო წიგნი ,,მეგრული ხალხური ზღაპრები“ (გამომცემლები: კორნელი დანელია და აპოლონ ცანავა, თბილისი, 1991 წელი) 50 (ორმოცდაათი) ეგზემპლარი - ბიუჯეტი 3 000 (სამი ათასი) ლარი.

7. მუზეუმების საერთაშორისო დღის აღნიშვნა

9. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობების აღნიშვნა.

10. სახვითი ხელოვნების ქანდაკებების QR -კოდით აღჭურვა.

11. ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ევროპის საბჭოს ევროპული ისტორიული ბაღების ქსელში გაწევრიანება

12. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან განმარტებითი (დესკრიპციული) დაფის განთავსება და Qr -კოდით

13. ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღის ტერიტორიაზე არსებულ, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან განმარტებითი (დესკრიფციული) დაფის განთავსება და Qr -კოდით აღჭურვა.

14. ,,ევროპული მემკვიდრეობის დღეები“-ს ორგანიზება

კო - აპლიკანტი ორგანიზაცია: ა(ა)იპ ქრიეთივ სპარკის (Creative Spark) მიერ განხორციელებული აქტივობები: კო-აპლიკანთან დადებული ხელშეკრულებით სტრეტეგიის პირველი ტრანშით გათვალისწინებული თანხა შეადგენს 145 965 ლარს.

უნარჩვევების განვითარების პროგრამა (ტრენინგები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები, მასტერკლასები და სხვ.), საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ჩატარდა შემდეგი ტრენინგ - სემინარები:

ა) ტრენინგი თემაზე "დაფინანსების მოძიების გზები, ხერხები და წყაროები" (17.02.23) -

ბ) ვებინარი თემაზე "როგორ დავარეგისტრიროთ ორგანიზაცია ევროკომისიის პორტალზე და მონაწილეობა მივიღოთ ევროკომისიის კონკურსებსა და ტენდერებში" (05.03.23); -

გ) სასწავლო სემინარი თემაზე" კულტურისა და შემოქმედებით სფეროში მიმდინარე კონკურსები და შესაძლებლობები" (31.05.23

დ) ტრენინგ-ვორქშოპი ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის თემატურ ჯგუფებთან (25.04.23)

ე) ონლაინ საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით (12.06.23)

19. ევროპის დღის აღნიშვნა

20. Facebook-ის პოსტების დაბუსტვა

21. შემოქმედებითი და კულტურის ინდუსტრიების გზამკვლევის შემუშავება

22. ზუგდიდის კულტურისა და მემკვიდრეობის ინფრასტრუქტურის რეკონცეფცია -

23. შემოქმედებითი კლასტერებისა და სივრცეების კვლევა

განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილება

01.10.2022-01.10.2023

1. კავკასიის ხალხთა IV საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი ,,ანაკლია 2022“.
2. პროექტი ,,ნორჩი მკვლევარი 2022“.
3. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა და ერეკლე მეფის როლი და სხვ.). პროექტის ბიუჯეტია
4. 9000 (ცხრა ათასი) ლარი. ღონისძიება ჩატარდა 2022 წლის 10 -11 დეკემბერს.

01.01.2023-01.10.2023

1. კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის პანევროპული ორგანიზაცია ,,ევროპა ნოსტრას“ პროექტი ,,ევროპის ყველაზე საფრთხის ქვეშ მყოფი 7 ძეგლის“ ნომინაცია.

კონკურსის საპრიზო ფონდმა თითოეული გამარჯვებული ნომინანტისთვის შეადგინა 10 000 (ათი ათასი) ევრო.

2. პროექტი ,,1921 წლის საბჭოთა ოკუპაციის ზუგდიდის ქრონიკები“.

პროექტის განხორციელების თარიღი: 23 თებერვალი, 2023 წელი

3. პროექტი ,,საქართველოს ეროვნული გმირის, მამია ალასანიას სახვითი ხელოვნების ქანდაკების კომპოზიცია ზუგდიდში“.
   პროექტი განხორციელდა კერძო დაფინანსებით.
4. საგანმანათლებლო - შემეცნებითი ვიქტორინა კონკურსი ,,ვიცნობდეთ ჩვენი ქალაქის ისტორიას“.
   ბიუჯეტმა შეადგინა 1386 (ერთიათასსამასოთხმოცდაექვსი) ლარი. პროექტი განხორციელდა 2023 წლის: აპრილი - მაისის თვეში.
5. კავკასიის ხალხთა V საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი ,,ანაკლია 2023“.
   პროექტით გათვალისწინებული მომსახურების ბიუჯეტმა შეადგინა 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი. ჩატარების თარიღი: 22 – 23 -24 სექტემბერი, 2023 წელი.
6. მოსწავლე -ახალგაზრდებს შორის სამეცნიერო კონფერენცია ,,ნორჩი მკვლევარი 2023“.
   ბიუჯეტი: 7730 (შვიდი ათას შვიდას ოცდაათი) ლარი. პროექტის განხორციელების თარიღი: 30 სექტემბერი - 1 ოქტომბერი, 2023 წელი.

7. საველე -არქეოლოგიური კვლევა ძიება ,,ცაიშის სამაროვნის არქეოლოგიური მემკვიდრეობა“
   პროექტის ბიუჯეტი: 32873.15 (ოცდა თორმეტი ათას რვაას სამოცდაცამეტი ლარი და 15 თეთრი) ლარი. პროექტის განხორციელების თარიღი: 18 აგვისტო - 27 სექტემბერი, 2023 წელი.
8. საჯარო ლექცია თემაზე: ,, უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ,,კოლხური კულტურა". წიგნი ,,ერგეტა“-ს (სამაროვნები) პრეზენტაცია.

9. საველე -არქეოლოგიური კვლევა -ძიება ჭაქვინჯის ციხეში.
10. რადიო გადაცემა ,,ოდაბადეში კინოხონი“ - არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, ეთნოგრაფიული ვარიაციების შესახებ, საზოგადოებაში ცნობადობის ამაღლების მიზნით გადაცემათა ციკლის მომზადება (ამ ეტაპზე გასულია 18 გადაცემა: - ბმულის სანახავად მოცემულია ლინკი: https://www.radioatinati.ge/gadacemebi/odabadesh-kinokhoni.html)

რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა

01.01.2023 – 01.10.2023

1. ზუგდიდის ივერიის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ტაძრის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია.
   ბიუჯეტი შეადგენს 120 000 (ასოცი ათასი) ლარს.
2. ნარაზენის ხარების სახელობის ტაძრის საკვირაო სკოლის რეაბილიტაცია.

   ბიუჯეტი შეადგენს 10 000 (ათი ათასი) ლარს.

3. ჯიხაშკარის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხარების სახელობის ეკლესიის სატრაპეზოს რეაბილიტაცია.
   ბიუჯეტი შეადგენს 5 000 (ხუთი ათასი) ლარს.

- ა (ა)ი პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი

ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში (კოდი 050201) ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ხელოვნების და კულტურის განვითარების ცენტრს", ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის #22 დადგენილებით დაუმტკიცდა 2022 წლის დაფინანსება 1200000 და 2022 წლის 28 დეკემბრის #44 დადგენილებით 2023 წლის დაფინანსება 1400000 ლარი. 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში ცენტრის ფაქტიური შესრულება ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 1496472,26 ლარს. 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ოქტომბრამდე ცენტრის შემოსავალმა საკუთარი სახსრებიდან (დარბაზის და სარეპეტიციო დარბაზის მომსახურებიდან) შეადგინა 14008,50 ლარი. ხოლო საკასო შესრულებამ - 13648,98 ლარი.

ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის მიერ წლის განმავლობაში განხორციელდა შიდა და საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიებები. დიდია ცენტრის ჩართულობა სხვადასხვა საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებში, სატელევიზიო გადაცემებში, საქველმოქმედო და ადგილობრივ კულტურულ ღონისძიებებში. აღსანიშნავია ცენტრის მიერ განხორციელებული შემდეგი უმნიშვნელოვანესი პროექტები:

ჩხორის სამოყვარულო თეატრმა წარმოადგინა პრემიერა ამერიკელი დრამატურგის ტენეს უილიამსის -,,გათელილი პეტუნიები." სპექტაკლი წლის განმავლობაში რამოდენიმეჯერ იქნა განმეორებით ნაჩვენები.

ცენტრის სამხატვრო გალერეის მხატვარ-დიზაინერი ელენე ფიფია წელს მეორედ მიიწვიეს ბელგიაში, ქალაქ განტში - ტექსტილის მუზეუმში, სადაც მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა მოეწყო. გამოფენაზე მხატვარს წარდგენილი ქონდა ქსოვილითა და ძაფებით, არატრადიციული ტექნიკით შექმნილი 30 -მდე ფერწერული ნამუშევარი.

ქალაქ ბათუმში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ ,,არსიანის" საკონცერტო დარბაზში, ჩატარდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის" რეზო ბულიას სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ ,, ჩელას" და მელიტონ კუხიანიძის სახელობის აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ ,,არსიანის" ვეტერანთა ქორეოგრაფიული ჯგუფის ერთობლივი კონცერტი.

ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივითა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს

მხარდაჭერით, საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი რამოდენიმე ტურად რეგიონებში ჩატარდა. ჟიურის გადაწყვეტილებით შესარჩევ ტურებში რეგიონის ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის რეზო ბულიას სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ,,ჩელა“ და ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ჩელა“, რომლებიც მიწვეული იყვნენ თბილისში, გალა კონცერტზე. ანსამბლებს გადაეცა ფესტივალის გამარჯვებულის სიგელი და მედალი.

ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ორგანიზებით, პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლრის III საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდა. ფესტივალში საქართველოში და უცხოეთში მოღვაწე ქართული ფოლკლორული ანსამბლები მონაწილეობდნენ. ფესტივალი 16 ივლისს, გალა- კონცერტითა და ტრადიციული რეწვის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენით დაიხურა.

ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ორგანიზებითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ეზოში ჩატარდა ზუგდიდის კლასიკური მუსიკის II ფესტივალი. ფესტივალში მონაწილეობდენ საერთასორისო დონის ოპერის სოლისტები: თამარ ივერი, ოთარ ჯორჯიკია, გიორგი ონიანი, კონსტანტინე ყიფიანი, სულხან გველესიანი. ორკესტრს დირიჟორობდა - დავით მუქერია.

ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ფოლკლორული ანსამბლი ,,ოდოია“ მიწვეული იყო ქალაქ ბათუმში, მელიტონ კუხიანიძის სახელობის ქართული ხალხური სიმღერის ფესტივალზე. ფესტივალი აჭარის აკადემურ ანსამბლ ,,არსიანის“ ორგანიზებითა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინსტროს მხარდაჭერით გაიმართა.

მიმდინარე წლის 22- სექტემბერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ბავშვთა და მოზარდთა სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,ცისკარის“ სახელობითი ვარსკვლავი ცენტრის საკონცერტო დარბაზის წინ გაიხსნა. ანსამბლს ოცდაორწლიანი არსებობის მანძილზე ჩატარებული აქვს ოცდაათამდე სოლო კონცერტი, არის მრავალი კონკურს- ფესტივალის გრან-პრისა და საპრიზო ადგილების მფლობელი.

❖ ა(ა)იპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება“

ზაფხულის არდადეგების შემდეგ, ახალი გამოწვევებითა და იდეებით დატვირთული სასწავლო წელი დაიწყო სახელოვნებო სკოლების გაერთიანებაში. სკოლებში ჩატარდა პედაგოგიური საბჭო, დაზუსტდა მოსწავლეთა კონტიგენტი, შედგა ტარიფიკაცია, რომლის საფუძველზე განისაზღვრა პედაგოგების კვირეული საათობრივი დატვირთვა, დამტკიცდა სასწავლო - სამუშაო გეგმა. რასაკვირველია, გაგრძელდა შემართებით ნაყოფიერი მუშაობა

სხვადასხვა პროექტებზე, სადაც აქტიურად იყვნენ ჩართულები პედაგოგები მოსწავლეებთან ერთად, რომლებსაც არაერთხელ მიენიჭათ სიგელ-დიპლომები.

N1 სამუსიკო სკოლაში განხორციელდა ცვლილებები. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა ნაცვლად ექვსწლედისა გახდა შვიდწლედი, რამაც გამოიწვია კონტიგენტის ზრდა და მოსწავლეების დახელოვნების დონის ამაღლება. აღსანიშნავია, რომ N1 სამუსიკო სკოლის საორკესტრო მიმართულების მოსწავლეების ბაზაზე ჩამოყალიბდა კამერული ორკესტრი სახელწოდებით ,,ამადეუსი''.

N1 სამუსიკო სკოლის დარბაზში გაიმართა, საქართველოს კულტურის სამინისტროსა და საქართველოს საზოგადოების ორგანიზებით ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების VI ეროვნული კონკურსის პირველი ტური. კონკურსზე კონსერვატორიის პროფესორმა - მიხეილ ედიშერაშვილმა მოისმინა ფოლკლორული ანსამბლი ,,ჯეგეთას '' მიერ შესრულებული ხალხური სიმღერები. კონკურსის შედეგად ანსამბლი ,,ჯეგეთა'' გადავიდა მეორე ტურში.

ქალაქ ბათუმში, კულტურისა და ტურიზმის განვითარების საზოგადოების ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო ფესტივალი ,,ოქროს საწმისი'', რომელშიც მონაწილეობდნენ N2 სამუსიკო სკოლის კლასიკური გიტარის მიმართულების მოსწავლეები. მათ მიიღეს ლაურეატის წოდება. ერთერთმა მოსწავლემ, გიგი ჩიტაიამ დაიმსახურა პირველი ადგილი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლითეკების მართვის ცენტრში ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელშიც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების N1 და N2 სამუსიკო სკოლების მიერ წარმოდგენილი იყო სხვა და სხვა მუსიკალური ნომრები.

ქ. თბილისში, ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში, საქართველოს საგუნდო საზოგადოების ორგანიზებით, ჩატარდა ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების VII ეროვნული კონკურსის მეორე ფინალური ტური და მონაწილეობა მიიღეს საგუნდო-სამუსიკო სკოლის უმცროსს და უფროსს კლასელთა აკადემიურმა გუნდებმა. აღსანიშნავია, რომ უმცროსკლასელთა გუნდმა მოიპოვა ოქროს მედალი, პირველი ადგილი და ლაურეატის წოდება, ხოლო უფროსკლასელთა გუნდს მიენიჭა მეორე ადგილი, ვერცხლის მედალი და ლაურეატის წოდება.

2023 წლის 15 სექტემბრამდე, ახალ სასწავლო წლის დაწყებამდე ყველა სტრუქტურულ ერთეულში ჩატარდა მისაღები გამოცდები. გამოვლინდნენ წარმატებული კონკურსანტები, გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა. სასწავლო წლის დაწყებამდე ოთხივე სტრუქტურულ ერთეულში ჩატარდა პედაგოიური საბჭოს სხდომა, სადაც დაზუსტდა მოსწავლეთა კონტიგენტი, შედგა ტარიფიკაცია, რომლის საფუძველზე განისაზღვრა პედაგოგების კვირეული საათობრივი დატვირთვა და დამტკიცდა სასწავლო-სამუშაო გეგმა. სახელოვნებო სკოლების გაერთიანება დიდი შემართებითა და ენთუზიაზმით ემზადება ახალი სასწავლო წლისათვის. დაიგეგმა უამრავი თემატური ღონისძიება, შემოქმედებითი აქტივობები და სხვადასხვა საინტერესო პროექტები.

○ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი ცენტრალური, სასოფლო და საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალებთან ერთად ეწევა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო სამეცნიერო-ინფორმაციულ მომსახურებას. თავისი საქმიანობის განსახორციელებლად ფინანსდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მიერ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ოქტომბრამდე სულ ხარჯი -688 341.97; შრომის ანაზღაურებაზე - 594 455.72 ლარი, აქედან პრემია 2023 წლის პირველ კვარტალში -36 306.00 ლარი. მივლინება- 276.00 ლარი, საქონელი და მომსახურება -93886.25 ლარი, მათ შორის, ძირითადი აქტივების ხარჯი- 7082.00 ლარი.

ერთი წლის განმავლობაში მართვის ცენტრში შემოტანილ იქნა - 1446 ცალი წიგნი, თანხით-10740.25 ლარის, აქედან შესყიდული- 423 ცალი , თანხით- 4519.40 ლარის; საჩუქრად მიღებულ იქნა -1023 ცალი წიგნი, თანხით- 6220.85 ლარის. მართვის ცენტრი მოემსახურა- 10 436 მკითხველს, დამსწრეთა რაოდენობა იყო - 92 918 მომხმარებელი/ მკითხველი; მათზე გაიცა-98 673-წიგნი და ინფორმაცია.

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 22 სექტემბრის ჩათვლით განმავლობაში ზუგდიდის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ ამერიკულ კუთხესთან, საქალაქო და სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალებთან ერთად ორგანიზება გაუწია და განახორციელა სიახლეებითა და განსხვავებული სერვისებით გამორჩეული სხვადასხვა პროექტები:

კულტურულ, მასობრივ ღონისძიებებზე გაიხარჯა-2677.50 ლარი. ასევე, ღონისძიებები ჩატარდა სპონსორების დახმარებით.

--ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა ისტორიკოსის, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიმართულების ხელმძღვანელის, არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორის ანტონ ვაჭარაძის საჯარო ლექცია თემაზე - 1937-1938 წლებში მიმდინარე „დიდი ტერორი“. ნაჩვენები იქნება რადიო თავისუფლების ფილმი - „დახვრეტილთა სასაფლაო“.

--ასოციაცია „მერკურისა" და ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკის ორგანიზებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა: „ახალგაზრდების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა: მოდი ვიმსჯელოთ!/Health and well-being: Let's discuss!" - Youth Peer Supporter“.

--წიგნის მოყვარული ახალგაზრდების ჯგუფ B612-ის ორგანიზებით ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში პროექტის - „ელაპარაკე ახალგაზრდებს ბიბლიოთეკაში" ფარგლებში შედგა შეხვედრა ფილოლოგიის დოქტორთან, პედაგოგ გია მურღულიასთან.

--ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში წიგნების სერიის „ჩემი მეგრული ჯადოსნური ზღაპრების“ პირველი წიგნის „კაჟანდიი ქერქუუს არიკის“ პრეზენტაცია გაიმართა.

--ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დაიწყო ახალი პროექტი - სამეგრელოს კულინარიული მემკვიდრეობა - ევროპული თავგადასავალი.

--საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა გამოფენა სახელწოდებით - „საქართველო XVI-XVIII საუკუნეების ნიდერლანდურ რუკებსა და გრავიურებზე“

--მხატვრის, ქეთი ჩახაიას, პერსონალური გამოფენა გაიმართა. გამოფენის პარალელურად მიმდინარეობდა ინტერაქციული საუბრები ხელოვნებაზე. შეხვედრის მოდერატორი იყო ზურა ასათიანი;
-- საქართველოს ბიბლიოთეკარის დღესთან დაკავშირებით გაიმართა საზეიმო შეხვედრა ბიბლიოთეკარებთან. ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკის, ასევე საქალაქო და სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალების ბიბლიოთეკარებს, 86 თანამშრომელს გადაეცა მადლობის სიგელი და „ორკოლ სტუდიას“ ბრენდირებული ნაწარმი ჭიქა ლამბაქით.

--მსმენელები ზეინაბ სარიასთან, ლამზირა ფირცხალავასთან, გიორგი შონიასთან, პაატა რატიასთან, შალვა ქარჩავასთან და გიორგი ლემონჯავასთან ერთად გადასახლდნენ მათ წიგნიერ სამყაროში.
--წიგნების სერიის ,,ჩემი მეგრული ჯადოსნური ზღაპრების" მეორე წიგნის ,,გერია დო უჩა ხენწიფეშ არიკი“- ს (,,გერია და შავი ხელმწიფის ამბავი") პრეზენტაცია.
--ზუგდიდის N8 საჯარო სკოლის მიერ ორგანიზებულ ლიტერატურულ შეხვედრაზე ახალგაზრდებმა ისაუბრეს ფრანც კაფკას „მეტამორფოზასა“და ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ შესახებ;

--ზუგდიდის ცენტრალურ ბულვარში გაიმართა სამი ზუგდიდელი ავტორის: თემურ ელიავას, ნიკა ლაშხიას და გიორგი შონიას პოეზიის საღამო - „პოეზია ბულვარში“.

--ფილოლოგიის დოქტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა, ქალბატონმა ნესტან ფიფიამ ახალგაზრდებისთვის წაიკითხა ლექცია თემაზე - „სხვანიშან-წყალის“ პერსონაჟები ილია ჭავჭავაძის ორ მოთხრობაში („სარჩობელაზედ“ და „ოთარაანთ ქვრივი“).

--პროექტის„ სამეგრელოს კულინარიული მემკვიდრეობა - ევროპული თავგადასავალი“ლექციის ფარგლებში, საქართველოში პირველი ეთნოგრაფიული სოფლის „სისატურა“ დამფუძნებელმა მარიკა თოდუამ მეგრული გასტრონომიული კულტურის ამსახველი წყაროებისა და ცნობების შესახებ ისაუბრა.

--ჩატარდა კონფერენცია თემაზე - „ჭყიშეფიშ ზარხულიშ კარე - მწყემსთა საზაფხულო სადგომი“.
--საზაფხულო სკოლა „ბიბლიოზაფხულში“ ბავშვებმა გაატარეს ფერადი, ხალისიანი, შემეცნებითი დღეები.

--სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით წიგნის მოყვარული ახალგაზრდები შეიკრიბნენ განმუხურში, მომავლის გემ-ბიბლიოთეკა „მესიაკონზე“. ადგილობრივი ახალგაზრდების წინაშე ისინი წარსდგნენ მოხსენებებით აფხაზეთის თემატიკაზე

--ზუგდიდის ამერიკული კუთხეში აქტიურად ტარდებოდა სხვადასხვა მიმართულების შეხვედრები, ფუნქციონირებდა კლუბები: საბავშვო , ინგლისური ენის შემსწავლელი, სამაგიდო თამაშების, რომლის ტურნირი ჩატარდა მეგო ბარში. ზაფხულში ჩატარდა საზაფხულო სკოლა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 120 ბავშვი სხვადასხვა ეტაპზე.

➢ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსება

- **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური**

2023 წელს სამსახურმა პროგრამებში დანერგა გარკვეული სიახლეები და განახორციელა რამდენიმე პროგრამის ცვლილება:

- აბილიტაციის პროგრამაში ჩართული ბენეფიცირების რაოდენობის ლიმიტი გაიზარდა 130-მდე;
- 18+ შშმ პირებს რეაბილიტაცია დაუფინანსდებათ 500 ლარით (სოციალური სტატუსის მიუხედავად).
- 0–18 წლამდე კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვებისთვის, იმპლანტის დამხმარე საშუალებების შესაძენი თანხით უზრუნველყოფა - მაქსიმალური ლიმიტი თითო მოსარგებლეზე არაუმეტეს 600 (ექვსასი) ლარისა.
- მზრუნველობამოკლებულთა უფასო სასადილოს ბენეფიციართა რაოდენობა გაიზარდა 300-მდე.
- ამოქმედდება ახალი პროგრამა: თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისის საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალური მობილობა.
- 100 წელს გადაცილებული პირების ფინანსური მხარადჭერა გაორმაგდა და გახდა 1 000 ლარი.
- დიალიზის პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების ყოველთვიური ფულადი დახმარება გაიზარდა და გახდა 100-150 ლარი.
- უსახლკარო პირების ქირით უზრუნველყოფის პროგრამაში ჩართულ მოქალაქეებს ქირის თანხა გაეზარდათ 100 დან 200 ლარამდე .
- გაზიფიკაციის პროგრამაში ჩასართავი ოჯახების სარეიტინგო ქულა გაიზარდა 57 000-მდე.
- მშობლობის უნარების გაძლიერებისა და მათი მარდამჭერთა წრის გაფართოებისთვის ბავშვის უფლებების დაცვის მიზნით, დაიწყო საინფორმაციო კამპანია "ვფოკუსირდეთ შესაძლებლობებზე".
- დაემატა ახალი ქვეპროგრამა-უცხო ენების კურსის დაფინანსება.

სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება

საანგარიშო პეირიოდში სოციალური პროგრამებით ისარგებლა **5 669 ბენეფიციარმა,** რაზეც გაიხარჯა **2 863 000** (ორი მილიონ რვაასსამოცდასამი ათასი) ლარი, რომელიც პროგრამების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:

- **სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა: 713 ბენეფიციარი -ამ** პერიოდში 300 ბენეფიციარი უზრუნველყოფილ იქნა ცხელი სადილით ყოველდღიურად, უფასო სასადილო ქალაქში-სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული პირები, მარტოხელა, უმუშევარი პენსიონერები, შშმ

პირები და სხვა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სოფელში მცხოვრები განსაკუთრებით მძიმე სოციალური და ეკონომიური პირობების მქონე 413 ოჯახმა (შშმ პირები, მარტო მცხოვრები მოხუცები და ა.შ) მიიღო საკვები პროდუქტების პაკეტები ერთჯერადად რისთვისაც გაიხარჯა **316 000 (სამასთხუთმეტი ათასი)** ლარი.

- **ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა: ისარგებლა 32 ბენეფიციარმა, გაიხარჯა 46 000 (ოცდაცდაექვსი ათასი) ლარი, კერძოდ:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანთა კავშირისთვის ყოველთვიური სუბსიდია -2 665 (ორი ათას ექვსასსამოცდახუთი) ლარი და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების პენსიაზე დანამატი 200 (ორასი) ლარი, ომის მონაწილის გარდაცვალებისას სარიტუალო ხარჯებისთვის 300 (სამასი) ლარი.
- **ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა: ისარგებლა 223 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 79 000 (სამოცდაცხრამეტი ათასი) ლარი,** კერძოდ **:** მრავალშვილიანი ოჯახებისათვის- 18 წლამდე ასაკის 4 ბავშვზე – 200 ლარი; 5 ბავშვზე – 300 ლარი და ა.შ; პირველი–მეორე შვილის შეძენისას სოციალურად დაუცველ ოჯახებზე (სარეიტინგო ქულა 65001–ზე ნაკლები) – 200 ლარი; ტყუპის შეძენისას – 500 ლარი ; დედ–მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ყოველთვიური დახმარება 100 ლარის ოდენობით; ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 100-800 ლარამდე ოდენობით.
- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა: ისარგებლა 736 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 241 000 (ორას ორმოცდაერთი ათასი) ლარი, კერძოდ:** 18 წლამდე ასაკის შშმ და მძიმე ქრონიკული ავადმყოფობის მქონე ბავშვების ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარი, სმენა და მხედველობადაქვეითებული, მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე შშმ პირებს კომუნალური გადასახედების თანადაფინანსებისთვის ფულადი დახმარება 25-25 ლარი 4 თვის მანძილზე. შშმ პირებს (მწოლიარე ან ეტლით მოსარგებლე), სოციალურად დაუცველ ოჯახებს (სარეიტინგო ქულა 65001-ზე ნაკლები), მოვლის საჭიროების მქონე პირთა დაფინანსება ყოველთვიურად 100 (ასი) ლარი.
- **მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამა: ისარგებლა 354 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 84 000 (ოთხმოცდაოთხი ათასი) ლარი.** მარჩენალდაკარგულ ოჯახებს, გაეწიათ ერთჯერადი ფულადი დახმარება თითოეულს 200 ლარის ოდენობით. მარტოხელა მშობლის ყოველთვიური დახმარება - 50 ლარის ოდენობით;
- **ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა: ისარგებლა 146 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 24 000 (ოცდაოთხი ათასი) ლარი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 100 წელს გადაცილებულ პირთა ერთჯერადი 1000 - ლარიანი დახმარება, სოციალურად დაუცველ (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები) ადგილობრივ გარდაცვლილ ბენეფიციართა ოჯახისთვის - ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარი. მარტოხელა და მარტომცხოვრებ ხანდაზმულებს მიეწოდათ შინმოვლის სერვისი.

- **სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა ბიუჯეტი: გახარჯულია 90 000 (ოთხმოცდაათი ათასი) ლარი -** მე–2 მსოფლიო ომის მონაწილეების (ადგილობრივი და

დევნილი), დედ-მამით ობოლი ბავშვების, მარტოხელა მშობლების, მრავალშვილიანი ოჯახების, 100 წელს გადაცილებული პირების, მზრუნველობამოკლებულთა სასადილოს და სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარებისთვის, განსაკუთრებით შეჭირვებული ოჯახების მხარდაჭერა (შობა – ახალი წელი და აღდგომა) საკვები პროდუქტებით მიიღო **1040 ოჯახმა.** შშმ პირთა და ხანდაზმულთა უფლებების დაცვის დღის აღსანიშნავი ღონისძიების ფინანსური მხარდაჭერა

- **ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა: ისარგებლა 142 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 118 000 (ასთვრამეტი ათასი) ლარი. კერძოდ:** ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების და პერიტონეალური დიალიზის პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების ხარჯების თანადაფინანსება: თითოეულს თვეში 100 - 150 ლარი; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პერიტონიალური დიალიზის პროგრამაში ჩართული ბენეფიციარებისთვის, რომლებიც სერვისის მისაღებად გადაადგილებიან სხვა მუნიციპალიტეტის სამედიცინო ცენტრებში - ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება თვეში თითოეულს - 200 (ორასი) ლარი; სოციალურად დაუცველი სტუდენტების (სარეიტინგო ქულით 65001-ზე ნაკლები), მგზავრობის ხარჯების თანადაფინანსება წელიწადში ერთხელ 200 (ორასი) ლარი; სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწირო პროგრამა - დღის ცენტრების ქვეპროგრამაში ჩართული შშმ ბავშვების თანმხლებ პირთა ტრანსპორტირების თანადაფინანსება.
- **სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა: ისარგებლა 235 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 338 000 (სამასოცდათვრამეტი ათასი) ლარი, კერძოდ:** ხანძრის შედეგად დაზარალებული უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ერთჯერადი დახმარება (3000 ლარამდე). დიდთოვლობის, ქარბუქის, მიწისძვრის, წყალდიდობის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე ერთჯერადი დახმარება (3000 ლარამდე). მეწყერის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე - 500 ლარი. უსახლკაროდ დარჩენილი, ყველაზე მძიმე ეკონომიურ პირობებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების (სარეიტინგო ქულა 65001-მდე), ბინის ქირით უზრუნველყოფა- თითოეულ ოჯახზე 200 ლარი ყოველთვიურად.

- **დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა: ისარგებლა 414 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 41 000 (ორმოცდაერთი ათასი) ლარი,** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე დევნილი ოჯახების ერთჯერადი დახმარება 100 (ასი) ლარი წელიწადში ერთხელ.

- **სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის საშუალებებით უზრუნველყოფის და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამით ისარგებლა 1344 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 303 000 (სამასსამი ათასი) ლარი,** კერძოდ: სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის (სარეიტინგო ქულა 35001-ზე ნაკლები) კომუნალური ხარჯების თანადაფინანსება 25-25 ლარით ოთხი თვის განმავლობაში; ბუნებრივი აირის შეყვანა ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 35000; განსაკუთრებით მძიმე სოციალური პირობების მქონე ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა წელიწადში ერთხელ 100-500 (ასი-ხუთასი) ლარის ფარგლებში.

- **სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა:** პროგრამა მიზნად ისახავს მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობას პროექტებში, ასევე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური საწარმოების განვითარების ხელშეწყობას. წარმოდგენილი პროექტების შერჩევა ხდება მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ დებულების შესაბამისად (თითო პროექტზე არაუმეტეს 5000 ლარისა) საანგარიშო პერიოდში **6** პროექტის (**222 ბენეფიციარი)** თანადაფინანსებისთვის გაიხარჯა 27 000 (ოცდაშვიდი ათასი) ლარი.

- **პროგრამა „სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში“ – 29 ბენეფიციარი** - საცხოვრისში ჩასახლებული 14 ოჯახისთვის კომუნალური ხარჯების ასანაზღაურებლად გაიხარჯა 32 000 (ოცდათორმეტი ათასი) ლარი. კომუნალური გადასახადების თანადაფინანსება 25-25 ლარის ოდენობით ოთხი თვის განმავლობაში. ასევე საცხოვრისის ბაზაზე ხანდაზმულთა (**15 ბენფიციარი)** დღის ცენტრის ფუნქციონირების ფინანსური მხარდაჭერა.

- **უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა:** გაიხარჯა 1 124 000 (ერთი მილიონ ასოცდაოთხი ათასი) ლარი - 2022 წლის 19 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა და 20 ერთი თბილი ოთახის მოწყობაზე.

ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება

საანგარიშო პერიოდში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით ისარგებლა **4 657** მოქალაქემ, რომელთაც საერთო ჯამში დაუფინანსდათ **1 617 772.14** (ერთი მილიონ ექვსას ჩვიდმეტი ათას შვიდას სამოცდათორმეტი ლარი და თოთხმეტი თეთრი) ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურება.

დაფინანსებული მომსახურებები ქვეპროგრამების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:

- **ძვირადღირებული გამოკვლევების (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კორონაროგრაფია) თანადაფინანსება გაეწია 849** მოქალაქეს (**208 700.83** (ორას რვა ათას შვიდასი ლარი და ოთხმოცდასამი თეთრი) ლარი)

- **სტაციონარული სამედიცინო მომსახურების (ქირურგიული ოპერაცია) თანადაფინანსება/ დაფინანსება** - 329 მოქალაქეს (**210 221.05** (ორას ათი ათას ორას ოცდაერთი ლარი და ხუთი თეთრი) ლარი)

- **აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამაში** ჩართულია **130** ბავშვი (**537 516.00** (ხუთას ოცდაჩვიდმეტი ათას ხუთას თექვსმეტი) ლარი)

- **სხვადასხვა სახის გონებრივი ჩამორჩენილობისა და ქცევითი აშლილობის მქონე 0-18 წლამდე 295** ბავშვს გაეწია სარეაბილიტაციო მკურნალობის თანადაფინანსება (**110 425.00** (ას ათი ათას ოთხას ოცდახუთი) ლარი)

- **იშვიათი დაავადებების (ცელიაკია /ფენილკეტონურია/მუკოვისციდოზი) მქონე პირების სპეციალიზირებული საკვების შესაძენი თანხით უზრონველყოფის ქვეპროგრამით** ისარგებლა 12 მოქალაქემ (თითოეულზე ყოველთვიურად: მუკოვისციდოზი-500 ლარი; ფენილკეტონურიია-500 ლარი; ცელიაკია -250 ლარი)-ჯამში ქვეპროგრამაზე გაიხარჯა **51 000.00** (ორმოცდათერთმეტი ათასი) ლარი.

- **ძვირადღირებული მედიკამენტების თანადაფინანსება - 1 376** მოქალაქე (**244 782.66** (ორას ორმოცდაოთხი ათას შვიდას ოთხმოცდაორი ლარი და სამოცდაექვსი თეთრი) ლარი) .

- **პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე პირების სამედიცინო ერთჯერადი სახარჯი მასალის, მოვლის საშუალებების და სხვა შესაძენი თანხით უზრუნველყოფა** (ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარი) ისარგებლა **10** მოქალაქემ (**14 800.00** (თოთხმეტი ათას რვაასი) ლარი).

- **კოხლეარული იმპლანტის მქონე ან მაღალი ხარისხის (III-IV) სმენადაქვეითებული ნაოპერაციევი 0-18 წლამდე ასაკის ბავშვების სასმენი აპარატის/პროცესორის ღირებულების თანადაფინანსება** - თითოეულ ბავშვზე მაქსიმალური ლიმიტი 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი წელიწადში ერთხელ. ისარგებლა **3** ბავშვმა (**45 000.00** (ორმოცდახუთი ათასი) ლარი).

- **განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიკური მოვლის საშუალებებით,** (ექსკრემენტის მიმღები კონტეინერი) დაფინანსებაზე ისარგებლა 11 მოქალაქემ (2 200.00 (ორი ათას ორასი) ლარი).

- **18 წელს ზემოთ შშმ პირების სარეაბილიტაციო მკურნალობაზე,** ისარგებლა **14**-მა მოქალაქემ (**6 040.00** (ექვსი ათას ორმოცი) ლარი).

- **პოზიტრონულ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფიაზე,** თანადაფინანსება გაეწია **39** მოქალაქეს (**38 178.60** (ოცდათვრამეტი ათას ას სამოცდათვრამეტი ლარი და სამოცი თეთრი) ლარი).

- **0-18 წლამდე კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვებისთვის, იმპლანტის დამხმარე საშუალების შესაძენი თანხით უზრუნველყოფა** - (მაქსიმალური ლიმიტი 600 (ექვსასი) ლარი) - ისარგებლა **1** მოაქალაქემ - **600.00** (ექვსასი) ლარი.

- **ძვირადღირებული თერაპიის საჭიროების მქონე ონკოლოგიური ავადმყოფების ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამა**-ისარგებლა **376** მოქალაქემ (თითოეულს ერთჯერადად 200 (ორასი) ლარი) – **75 200.00** (სამოცდათხუთმეტი ათას ორასი) ლარი.

- **ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენის ქვეპროგრამაში ჩაერთო 1 212** მოქალაქე (**73 108.00** (სამოცდაცამეტი ათას ას რვა) ლარი)

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების მიზნით, შუამდგომლობა გაეწია - 320 მოქალაქეს.

ჯანდაცვის განყოფილების მიერ ჩატარებული აქტივობები

- ჯანდაცვის განყოფილების მიერ განხორციელდა სარეაბილიტაციო ცენტრებში ვიზიტი, რომლის მიზანია უზრუნველყოს ხარისხიანი სერვისი მიწოდების მონიტორინგი.

- გაიმართა სამუშაო შეხვედრა ამბულატორიის ექიმებთან, სადაც განხილულ იქნა არსებული საჭიროებები. ასევე, განყოფილებამ გააცნო ჯანდაცვის პროგრამები და სიახლეები.

- განხორციელდა 5 მოქალაქესთან ბინაზე ვიზიტი, რომლებიც ითხოვდნენ ბინაზე მყოფი პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე პირების სამედიცინო ერთჯერადი სახარჯი მასალის, მოვლის საშუალებების და სხვა თანხით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში ჩართვას.

- 27 მარტს ჩატარადა სამუშაო შეხვედრა სტომატოლოგებთან, სადაც განხილულ იქნა შშმ ბავშვების სტომატოლოგიური მომსახურების კუთხით არსებული პრობლემები და გადაჭრის გზები.

- ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენის ქვეპროგრამის ფარგლებში კვარტალურად განხორციელდა ინსპექტირების ჯგუფის მონიტორინგი.

სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება

2020 წლის 1 სექტემბრიდან მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურში ფუნქციონირებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, ხოლო 2021 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ამ მიმართულების მუნიციპალური პროგრამები, რომლითაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ისარგებლა 197-მა არასრულწლოვანმა. 2023 წლის იანვრიდან ამოქმედდა ინგლისური ენის შემსწავლელი წრეების დაფინანსების ქვეპროგრამა, რომელშიც ჩართულია 22 მოზარდი. დაფინანსება გადანაწილდა შემდეგნაირად:

სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების ქვეპროგრამა:

ისარგებლა 48 ბენეფიციარმა (21 ოჯახი)- გახარჯულია 23 850 (ოცდასამი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარი. 2022 წლის სექტემბრიდან თით. ბავშვზე გათვალისწინებული თანხის ოდენობა 30-დან 50 ლარამდე გაიზარდა.

ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის ქვეპროგრამა:

ქვეპროგრამის ფარგლებში აღინიშნა დაუნის სინდრომის (21 მარტი), აუტიზმის ცნობადობის ამაღლების (2 აპრილი), ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე (1 ივნისი), რისთვისაც გახარჯულია სულ - 2 100 (ორი ათას ასი) ლარი.

სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და საგანმანათლებლო წრეების დაფინანსების ქვეპროგრამა:

აქვა-თერაპიის მომსახურებით ისარგებლა 7 ბავშვმა, რაზეც გახარჯულია 12 672 (თორმეტი ათას ექვსას სამოცდათორმეტი) ლარი.

ინგლისური ენის წრის დაფინანსებისთვის 22 ბავშვის მომსახურებაზე გაიხარჯა 6 528 (ექვსი ათას ხუთას ოცდარვა) ლარი.

გარდა ამისა, განყოფილება აქტიურად არის ჩართული მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების პროცესში. ამ მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში ტარდება შეხვედრები მოსწავლეებთან. 1 წლის განმავლობაში მოცულია სულ 12 სკოლა, 400-მდე ბავშვს მიეწოდა ინფორმაცია განყოფილების საქმიანობაზე, ბავშვის უფლებებზე, გენდერულ თანასწორობაზე, ცხოვრების ჯანსაღ წესზე, ადრეულ ქორწინებაზე, აგრეთვე, ძალადობის ფორმებზე, სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის როლზე. განყოფილება აქტიურად მუშაობს ოჯახების გაძლიერების საკითხებზე. ასევე, 2023 წლის იანვრიდან დაიწყო საინფორმაციო კამპანია ,,ფოკუსირდი შესაძლებლობებზე". საანგარიშო პერიოდში, შეხვედრები გაიმართა გამყოფი ხაზის მიმდებარე 9 ადმინისტრაციული ერთეულის საბავშვო ბაღებში, ხოლო ყოველი თვის ბოლო პარასკევს, ,,ქალთა ოთახის" სივრცეში ტარდება შეხვედრები მშობლებთან სხვადასხვა სპეციალისტის (პედიატრი, ფსიქოლოგი და სხვა) და ბავშვიან ოჯახებთან შემხებლობაში მყოფი სტრუქტურების/ორგანიზაციების წარმომადგენლების ჩართულობით. დღეისათვის ჩატარებულია ,,მშობლის საათი"-ს 8 შეხვედრა. გარდა მუნიციპალურ პროგრამებში ჩართვისა, რეფერირების გზით ხორციელდება სხვა სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის რესურსების გამოყენება.

o ა(ა)იპ ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"

01.10.2022 - 01.10.2023 პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გამოვლინდა და „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" მიერ სასწრაფო და რუტინული შეტყობინების საფუძველზე დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში (დზეი) დარეგისტრირებულ იქნა ინფექციური დაავადებების 17 748 შემთხვევა, მათ შორის ტუბერკულოზზე საეჭვო 541 შემთხვევა, რომელთა შორის აქტიური ტუბერკულოზი მგბ(+) დაუდასტურდა 37-ს, მგბ(–)15-ს. რეზისტენტული ტუბერკულოზის დიაგნოზი (RR/MDR) დაუდგინდა 8 პაციენტს,. ტუბრკულოზის ინფექციის კერებში, სახცოვრებელ ადგილზე

ვიზიტით ჩატარდა აქტიური ზედამხედველობა ახლო კონაქტების დადგენის მიზნით. გამოვლენილი 130 კონტაქტირებული პირი რეფერირებული იქნა სპეციალიზირებულ კლინიკაში კვლევების ჩასატარებლად აქტიური ტუბერკულოზის გამორიცხვის მიზნით, მათ შორის ერთს დაუდგინდა დიაგნოზი. ტუბერკულოზით დაავადებული „შეწყვეტილი მკურნალობის ან ცუდი დამყოლობის“ მქონე პაციენტები ზრდის კლინიკური მდგომარეობის გაუარესების, ლეტალური გამოსავლის, საზოგადოებაში ტუბერკულოზის ტრანსმისიისა და რეზისტენტული ტუბერკულოზის განვითარების და გაცრცელების რისკს, საანგარიშო პერიოდში არცერთი შეწყვეტილი მკურნალობის შემთხვევა არ გამოვლენილა. გლობალური ფონდის დახმარებით საქართველომ მოახერხა ეფექტური ანტი-TB მკურნალობის დანერგვა როგორც სენსიტიური, ასევე MDR პაციენტებისთვის. მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მართვაში წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადენს ახალი მედიკამენტების გამოყენება. ქვეყანამ უზრუნველყო როგორც პირველი რიგის, ასევე მეორე რიგის მედიკამენტების საყოველთაო ხელმისაწვდომობა. ახალი ანტიტუბერკულოზური პრეპარატები ხელმისაწვდომია სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

ანტირაბიული ღონისძიებების განხორციელებაში ზუგდიდიში მონაწილეობს 4 სამედიცინო დაწესებულება. სს ,,ვიანი“ სს. ,,ევექსის პოლიკლინიკები- ზუგდიდის პოლიკლინიკა“, შპს კლინიკა ,,ნლი“ და შპს ,,იუნიქი“. კლინიკებიდან საანგარიშგებო პერიოდში შემოსულია ცხოველის მიერ დაზარალების შემთხვევის 2845 შეტყობინება, აქედან აფხაზეთში მცხოვრები 15 პირი, სხვა რაიონის მცხოვრები 319 პირი, რომლებზეც შეტყობინება გადაეცა შესაბამისი რაიონების საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცეტრებს. ანტირაბიული მკურნალობა დაენიშნა 2845 პირს, ვაქცინაციის სრული კურსი ჩაუტარდა 666 პირს, პირობითი 1917-ს. შეწყვიტა მკურნალობა 262–მა პირმა, რომლებზეც განხორციელდა ზედამხედბველობა ვეტ. სამსახურიდან მოწოდებული ინფორმაციაზე დადარებით. ხოლო 40 დაზარალებულ პირის კერაში, საცხოვრებელ ადგილზე, რომლებიც ექვემდებარებოდნენ ვაქცინაციის სრული კურსის ჩატარებას ექსპოზირებული ცხოველის დაცემის ან დაკარგვის გამო და სხვადასხვა მიზეზებით შეწყვიტეს მკურნალობა, ჩატარდა ეპიდკვლევა, კვლევა მოიცავდა დაზარალებულ პირებზე მეთოდური რეკომენდაციის გაცემას, დაავადების შესახებ ახსნა–განმარტებითი სამუშაოების წარმოებას. მიუხედავად მრავალჯერადი გაფრთხილებისა 7 მათგანმა მაინც უარი განაცხადა ვაქცინაციის გაგრძელებაზე, რომელსაც ჩამოერთვა ხელწერილი. ცენტრის მიერ კვირაში ორჯერ ხორციელდებოდა ოთხივე ანტირაბიული კაბინეტის მონიტორინგი მკურნალობა შეწყვეტილ პაციენტებზე ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით. ხდება ინფორმაციცის მოძიება დაზარალებული პირების ვაქცინაციის ჩატარების ხარისხისა და შეწყვეტილი მკურნალობის შესახებ, რის შემდეგ ისახება ღონისძიებები მათ მეთვალყურეობაზე.

საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის ტერიტორიაზე სულ განხორციელდა 11919 აცრა. ბცჟ ვაქცინაცია ჩაუტარდა 661 ახალშობილს; ბ ჰეპატიტის საწინააღმდეგო 694-ს, იმუნიზაცია ჰექსაქციმით (6 ვალენტიანი ვაქცინა) ჩატარდა 2147 აცრა, ტეტრაქსიმით(18 თვ;5 წლის ასაკში)- 1872, წითელა-წითურა-ყბაყურის საწ. 1, 2 დოზით აიცრა 1868 ბავშვი, როტა 1, 2 დოზით- 1135, პნევმოკოკით 2151, აპვ ვაქცინით-691, ტდ ვაქცინით-730 აცრა. სულ გაცემული იქნა 886174.69 ლარის ვაქცინა, სტრატეგიული შრატები, ტესტები. ცენტრი სამართლებრივი რეგულაციებით დაცვით ახორციელებს დოკუმენტაციის წარმოებას, ბუღალტრულ აღრიცხვას. საანგარიშო ფორმების შევსებას შესაბამის უწყებებში გადასაცემად, ელექტრონულ სისტემებში მონაცემთა რეგისტრაციას.

ჰოსპიტალიზებულ პაციენტთა რაოდენობამ შეადგინა 10 506, მათ შორის რესპირატორული ინფექციის გართულებით 2 479. ასევე, ხორციელდება 29 საექიმო ამბულატორიიდან და 18 სამედიცინო დაწესებულებიდან ყოველკვირეული ინფორმაციის

მიღება ამბულატორიული მომართვიანობის შესახებ, მათ შორის გრიპის და გრიპისმაგვარი დაავადებების შესახებ. ამბულატორიული მომსახურება გაეწია 116 451, გრიპისმაგვარი დაავადებით გამოვლენილი იყო 5 371 შემთხვევაში.

საანგარიშო პერიოდში ქალაქის 18, რაიონის 45 მუნიციპალურ და 18 კერძო ბავშვთა დაწესებულებაში ჩატარდა 178 - მონიტორინგი, რომელიც ტარდებოდა ცენტრის მიერ შემუშავებული გეგმა-გრაფიკით. გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებოდა სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრს. ასევე ხდებოდა რეკომენდაციების გაცემა და მათი გადამოწმება.

პარაზიტულ დაავადებებზე ლაბორატორიულად კვლევა ჩაუტარდა ქალაქისა და სოფლის ბაღების 3005 აღსაზრდელს, მათ შორის ინვაზირებული აღმოჩნდა 132 აღსაზრდელი რაც შეადგენს გამოკვლეულთა 4,3%-ს. კვლევის შედეგების გადაცემა წარმოებს როგორც ბაღის ადმინისტრაციისთვის, ასევე სოფლის ამბულატორიის პერსონალისთვის მკურნალობის და პროფილაქტიკის მიზნით.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში პრევენციული ღონისძიებები გატარდა ანაკლია-განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულებში კარდაკარის პრინციპით და ქალაქის ტერიტორიაზე ენტომოლოგიურ კვლევებზე დაყრდნობით, ღონისძიება განხორციელდა 2 ეტაპად. სულ ჩატარდა 1 160 000 კვმ ფართობის საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების დეზინსექცია.

პირველადი შერჩევითი შემოწმება-მონიტორინგი ჩაუტარდა 96 ინდმეწარმე ბიზნეს-ოპერატორს. მათ შორის, 66 სტილისტს, 22 მანიკურ-პედიკურის სპეციალისტს, 7 კოსმეტოლოგს და 1 ტატუს ოსტატს. თითოეული ინდმეწარმე რეგისტრირებულია ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ეროვნული კლასიფიკატორის შესაბამისად და მინიჭებული აქვს საქმიანობის კოდი

სადღეისოდ, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს პირველადი ჯანდაცვის მიმწოდებლების შეზღუდული როლი C ჰეპატიტის, აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის ადრეულ გამოვლენასა და პრევენციაში, ეს აფერხებს ჯანდაცვის სისტემის შესაძლებლობას, დროულად გამოავლინოს ის პირები, რომელთა მიმართვა საჭიროა დიაგნოსტირებისა და მკურნალობის სერვისებისკენ.

თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის იმპლემენტაციის ფარგლებში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ჩართულია თამბაქოს კონტროლის მონიტორინგის საკითხში. საანგარიშო პერიოდში ცენტრის მიერ განხორციელდა 590 მოწევის აკრძალვის მონიტორინგი შემდეგი ტიპის დაწესებულებებში: სასწავლო- 51; სამედიცინო 64; სახელმწიფო 29; კაფე/ბარი/რესტორანი 38; კინო/თეატრი 10; სილამაზის სალონი 43; მედია ორგანიზაცია 10; სასტუმრო 34; სავაჭრო ობიეტი 244; ტრანსპორტი 56; მაღაზიის გარე რეკლამირება 11. მონიტორინგი ხორციელდება დამტკიცებული კითხვარის და მეთოდოლოგიის შესაბამისად და შედეგები პერმანენტულად იტვირთება შესაბამის ელექტრონულ სისტემაში.

საზედამხედველო ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 44 სტომატოლოგიურ კაბინეტში განხორციელდა 54 მონიტორინგი. აღნიშნულ კაბინეტებში დასაქმებულია 65 სტომატოლოგი, 52 ექიმი თერაპევტი, მათ შორის 17 ეწევა ქირურგიულ საქმიანობას, 6 ორთოდონტი, 5 ორთოპედი, 21 ექიმის ასისტენტი. მონიტორინგის შედეგების ანალიზით და გასატარებელი ღონისძიებების მოცულობის შესაბამისად სტომატოლოგებს ეძლევათ გონივრული ვადა დარღვევების აღმოსაფხვრელად.

საანგარიშო პერიოდში ცენტრის მიერ ჩატარებულ იქნა 13418 ტესტირება. ტესტირებით გამოვლინდა კოვიდ ინფიცირებული 95 პირი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი აქტიურ მონაწილეობას იღებს საერთაშორისო დღეების აღნიშვნაში. იქმნება და იბეჭდება საინფორმაციო ბუკლეტები, რომლებიც ვრცელდება საზოგადოების თავშეყრის ადგილებსა თუ სხვადასხავა დაწესებულებებში. ასევე მონაწილეობას იღებს სხვადასხვა უწყების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, რომელიც ეძღვნება მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდას.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ 01.10.2022-01.10.2023 პერიოდში მუნიციპალური ბიუჯეტით სულ შესრულდა **471467.85** (ოთხას სამოცდათერთმეტი ათას ოთხას სამოცდაშვიდი ლარი და ოთხმოცდახუთი თეთრი) ლარის სამუშაოები.

❖ ზედამხედველობის სამსახური

საორგანიზაციო განყოფილება

● საანგარიშო პერიოდისათვის მერიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე შედგა ინფორმაციული ელექტრონული ბაზა, სადაც რეგისტრირებული ხელშეკრულებების რაოდენობაა 299 (ორასოთხმოცდაცხრამეტი). აქედან: დასრულებული ხელშეკრულებების რაოდენობა - 240 (ორასორმოცი)

● განხილულ იქნა და მომზადდა აღნიშნული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებული სათანადო დოკუმენტაცია და გადაეგზავნა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს; მათ შორის საბანკო გარანტიის საფუძველზე მოთხოვნილი თანხების წინასწარი ანაზღაურების მიზნით საჭირო დოკუმენტაცია;

● აყვანილ იქნა კონტროლზე აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად განკუთვნილი ვადები. ვადაგადაცილებით შესრულებულ სამუშაოებზე შედგა სათანადო დოკუმენტაცია და მასალა გადაეგზავნა იურიდიულ განყოფილებას სათანადო რეაგირებისათვის (მათ შორის შესაწყვეტ ხელშეკრულებებზე; აგრეთვე, საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის), რის შემდეგაც განხორციელდა საჭირო პროცედურები. ჯამში საჯარიმო თანხამ შეადგინა 243038,0 (ორასორმოცდასამი ათას ოცდათვრამეტი ლარი და 37 თეთრი) ლარი;

● აყვანილ იქნა კონტროლზე ყველა ხელშეკრულების მოქმედების ვადები. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების საჭიროების შემთხვევაში, ვადის გაგრძელებაზე ეცნობა მერიის შესაბამის სამსახურს;

● განხილულ იქნა და მომზადდა სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, ფაქტიური გარემოებებიდან გამომდინარე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებში და

ხელშეკრულებებში საჭირო ცვლილების შეტანასთან დაკავშირებული სათანადო დოკუმენტაციები;

● საანგარიშო პერიოდისათვის საორგანიზაციო განყოფილებაში ყველა შემოსულ კორესპონდენციას გაეცა დროული და სათანადო პასუხი;

● მიეწოდა ინფორმაცია მერიის სხვადასხვა სამსახურებს (მათი საჭიროების მიხედვით), ობიექტებზე სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია; აგრეთვე დაფინანსების წყაროების მიხედვით დარჩენილი ნაშთის (სახელშეკრულებო ღირებულებასა და ფაქტიურ ღირებულებას შორის სხვაობა) შესახებ.

<u>სამშენებლო ინსპექტირების განყოფილება</u>

საანგარიშო პერიოდში სამშენებლო ინსპექტირების განყოფილების მიერ ინსპექტირებული ობიექტების რაოდენობაა აღნიშნული პერიოდისათვის სულ 299 (ორასოთხმოცდაცხრამეტი). აქედან: დასრულებულია - 240 (ორასორმოცი), მიმდინარე - 59 (ორმოცდაცხრამეტი) და შედგა ინსპექტირების ჯგუფის აქტები (შუალედური/საბოლოო).

სამუშაოებზე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების კონტროლის შედეგად დაფიქსირებული ვადების დარღვევისათვის და აგრეთვე, საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის შედგა სათანადო დოკუმენტაცია, რომელიც გადაეგზავნა მერიის შესაბამის სამსახურებს და შემდეგად ჯამში საჯარიმო თანხამ შეადგინა 243038,0 (ორასორმოცდასამი ათას ოცდათვრამეტი ლარი და 37 თეთრი) ლარი;

განხილულ იქნა ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებული საკითხები, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, აუცილებლობიდან გამომდინარე;

საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ექსპლუატაციის პერიოდში (საგარანტიო პერიოდი), ობიექტების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად ჩატარდა საჭირო პროცედურები;

მიეწოდა ინფორმაცია მერიის სამსახურებს, მათი საჭიროებიდან გამომდინარე, ობიექტებზე სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ (მათ შორის შუალედურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის პროცენტული მაჩვენებელი);

მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში ყველა მშენებლობადამთავრებული ობიექტი, რომელთა რაოდენობა აღნიშნული პერიოდისათვის შეადგენს 125 (ასოცდახუთი); განყოფილებაში შემოსულ ყველა კორესპონდენციას გაეცა სათანადო პასუხი.

<u>რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილება</u>

საანგარიშო პერიოდში განყოფილებამ სულ გამოავლინა 45 (ორმოცდახუთი) ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რაზეც შედგა შესაბამისი ოქმი. კერძოდ:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153⁴ მუხლის 2 ნაწილი, გარე რეკლამის განთავსება შესაბამისი ნერბართვის გარეშე.

აღნიშნული მუხლით შედგენილ იქნა, **34** ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, **5** -ზე სასამართლოს ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება. დანარჩენი **29** ოქმიდან **5** შემთხვევაზე გამოიყენა სასამართლომ ჯარიმა **500** ლარის ოდენობით. **ჯამი 2 500 ლარი.** 1 შემთხვევაში, შეწყდა საქმის წარმოება. **23** შემთხვევაში გამოიყენა სიტყვიერი შენიშვნა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152[2] მუხლი, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის თვითნებური შეზღუდვა.

აღნიშნული მუხლით შედგა, **3** ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. სამართლომ **1** შემთხვევაში დააჯარიმა **500** ლარით, **2** შემთხვევაზე გამოიყენა სიტყვიერი შენიშვნა. **ჯამი 500 ლარი**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146[1] მუხლი, კონსტრუქციების ან/და სამშენებლო მასალების დაყრა.

1 სამართალდარღვევის ოქმი, სამართლომ გამოიყენა სიტყვიერი შენიშვნა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150[1] მუხლის მე-3 ნაწილი, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საღვრებში არსებული ტერიტორიის იერსახის თვითნებური შეცვლა. მე -3 ნაწილი სავინტილაციო სისტემის, ბანკომატის, სარეცხი საშრობის, გისოსების, ჯიხურების, დახლების ან/და სხვა მსუბუქი კონსტრუქციის თვითნებური მონტაჟი ან/და განთავსება.

3 სამართალდარღვევის ოქმი, **1** შემთხვევაში ჯარიმა **500** ლარის ოდენობით, **1** შემთხვევაში სიტყვიერი შენიშვნა, **1** შემთხვევაში კი ჯერ არ მიუღია სასამართლოს გადაწყვეტილება. **ჯამი 500 ლარი**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, 150 მუხლი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიის იერსახის დამახინჯება.

3 ოქმი, **2** შემთხვევაზე გაერთიანდა საქმე და სასამართლომ გამოიყენა ჯარიმა **1 000** ლარის ოდენობით, **1** შემთხვევაში ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება. **ჯამი 1000 ლარი**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55[2] მუხლი, სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვო დაკავება ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობა

1 სამართალდარღვევის ოქმი, სასამართლომ დააჯარიმა **1 000** ლარის ოდენობით. **ჯამი 1 000 ლარი**

ჯამში 6 000 ლარი

ასევე განყოფილების მერ გამოვლენილია უნებართვო მშენებლობების 20 შემთხვევა,დადგენილების შეუჩერებლობაზე 1 შემთხვევა და სანებართვო პირობების დარღვევის 44 შემთხვევა.

სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მიხედვით მიღებული დადგენილებით გადახდილი თანხა შეადგენს:

- **უნებართვო მშენებლობა/დემონტაჟზე -47 000 ლარს,**
- **სანებართვო პირობების დარღვევაზე -31 400 ლარს**

- **დადგენილების შეუჩერებლობაზე -5000 ლარს**

სამშენებლო სანქციებიდან სულ ჯამში შეადგენს - 83 400 (ოთხმოცდასამი ათას ოთხასი) ლარს.

ყველა სანქციებიდან შემოსული ჯამური თანხა შეადგენს - 89 400 (ოთხმოცდაცხრა ათას ოთხასი) ლარს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და შ.პ.ს. ცხოველთა პოპულაციის მართვის ცენტრ-ს, და ინ/მ ლერი ჩხარტიშვილთან გაფორმებულ ხელშეკრულებების საფუძველზე გაყვანილ იქნა ცხოველთა თავშესაფარში 235 (ორას ოცდათხუთმეტი) მიუსაფარი და უპატრონო ძაღლი მათი შემდგომი კასტრაცია, ვაქცინაცია, სტერილიზაცია, დაბირკვის და შემდეგ თავისუფალ არეალში დაბრუნების მიზნით.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონადირეებთან ხელშეკრულების საფუძველზე გარემოდან ჩასაფრების წესით ამოღებულია მგლის 4 და ტურის 18 ინდივიდი.

ავარიულ და გამხმარ მდგომარეობაში მყოფი ხეებისგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების კომისიამ განიხილა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული განცხადებები, რომლებსაც გაეცა სათანადო პასუხი.

❖ ადმინისტრაციული სამსახური

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტად კვლავაც გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა ჩართულობა რჩება. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტი არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს.

2023 წელს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის განყოფილების მიერ სხვადასხვა აქტივობები განხორციელდა, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებულობას, როგორც მიმდინარე და განხორიცელებულ პროექტებზე, ასევე, იმ მუნიციპალურ სერვისებზე, რომლითაც მოქალაქეებს შეუძლიათ ისარგებლონ. მერიის აქტივობები ქვეყნდება სააგენტოებზე და შუქდება ტელევიზიით.

მერიის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია /City Hall of Zugdidi Municipality თავისი აქტივობებით, როგორც სიახლეების განთავსების თვალსაზრისით ასევე, მოქალაქეთა ჩართულობით და მათ კითხვებზე ოპერატილი რეაგირებით მოწინავე პოზიციაზეა google analytics ბაზაზე. აქვე, გვერდი პასუხობს მომხმარებლის დაინტერესებას, რაც აისახება მისი გამომწერების რაოდენობის ყოველდღიურ ზრდაზე.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის განყოფილება ასევე უზრუნველყოფს ვებ. გვერდის მეშვეობით მოქალაქეთა ინფორმირებულობას, ჩართულობას მუნიციპალურ სერვისებზე. ვებ. გვერდი www.zugdidi.gov.ge ორენოვანი პლატფორმაა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს როგორც ვებ-გვერდის, ისე ინგლისურენოვანი ბაზის საინფორმაციო შევსება-განახლება.

პერიოდულად მზადდება საიმიჯო ვიდეორგოლები, რომელიც განთავსებულია, როგორც მერიის გვერდზე, ასევე ქალაქის მთავარ მონიტორზე.

მუნიციპალიტეტის მერიის სიახლეები ასევე ოპერატიულად ქვეყნდება ოფიციალურ ინსტაგრამ გვერდზე იხ.ბმული (shorturl.at/fiyV2).

საანგარიშო პერიოდში მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის განყოფილების მიერ სხვადასხვა აქტივობები განხორციელდა, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებულობას, როგორც მიმდინარე და განხორიცელებულ პროექტებზე, ასევე, იმ მუნიციპალურ სერვისებზე, რომლითაც მოქალაქეებს შეუძლიათ ისარგებლონ. მერიის აქტივობები ქვეყნდება სააგენტოებზე და შუქდება ტელევიზიით.

მერიის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია /City Hall of Zugdidi Municipality თავისი აქტივობებით, როგორც სიახლეების განთავსების თვალსაზრისით ასევე, მოქალაქეთა ჩართულობით და მათ კითხვებზე ოპერატილი რეაგირებით მოწინავე პოზიციაზეა google analytics ბაზაზე. აქვე, გვერდი პასუხობს მომხმარებლის დაინტერესებას, რაც აისახება მისი გამომწერების რაოდენობის ყოველდღიურ ზრდაზე.

რაც შეეხება ვებ-გვერდს, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ, მეტი ინფორმირებულობისა და გამჭვირვალობისთვს, შეიმუშავა ახალი ვებ-გვერდისთვის საჭირო ტექნიკური დავალება და აწარმოა ბაზრის კვლევა. განაცხადი გაკეთებულია და უხლოეს პერიოდში გამოცხადდება ტენდერი. ვებ-გვერდი, თავისი ტექნიკური დავალებიდან გამომდინარე, იქნება მეტად მოქნილი და მოქალაქეებისთვის საინტერესო, სიახლეებით დატვირთული.

პერიოდულად მზადდება საიმიჯო ვიდეო რგოლები, რომელიც განთავსებულია, როგორც მერიის გვერდზე, ასევე ქალაქის მთავარ მონიტორზე. ასევე, მზადდება რილსები აქტუალურ საკითებზე, პერიოდულად მზადდება ვიდეორგოლი ადმინისტრაციულ ერთეულებზე, ასევე ვაქვეყნებთ წარმატებულ ახალგაზრდებზე ინფორმაციებს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში საანგარიშო პერიოდში შემოსული კორესპონდენციის რაოდენობამ შეადგინა-18177;

გასული კორესპონდენციის რაოდენობამ-12079;

ადმინისტრაციული ხელშეკრულების-104;

შრომითი ხელშეკრულების-17;

ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების-96 , მათში შესული ცვლილებების-9;

მემორანდუმის-3, მათში შესული ცვლილებების-1;

ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციული ერთეულების მუშაობის კოორდინაციის განყოფილებამ უზრუნველყო სხვადასხვა სახის ინფორმაციის მომზადება და გადაგზავნა უწყებებსა და ორგანიზაციებში. მათ მიერ საანგარიშო პერიოდში მომზადდა პასუხი 157 წერილზე, რომელიც ეხებოდა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნას, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში გაცემას. ინფორმაციის თავისუფელების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) 2022 წლის მონაცემებით, ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა შორის (267 დაწესებულება) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია მე-12 ადგილზეა, ხოლო მერიებს შორის პირველ ადგილს იკავებს.

საანგარიშო პერიოდში განყოფილების მიერ განხორციელდა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი

პროექტების შერჩევის მიზნით ჩასატარებელი დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების, პროცედურული საკითხების ორგანიზება.

ამავე განყოფილების მიერ, საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოდან პერიოდულად ხდება გეოლოგთა ჯგუფის გამოძახება დაზიანებული სახლების მდგომარეობის შესწავლის მიზნით. მიმდინარე წელს, ამ ეტაპისთვის შემოწმდა 35 ოჯახი აქედან 35-ვეს მიენიჭა შესაბამისი კატეგორია, მათ შორის 9 ოჯახს პირველი კატეგორია, ამ ეტაპზე გარემოს ეროვნული სააგენტოდან ველოდებით შემოწმებული 13 ოჯახის შესახებ დასკვნას.

განყოფილების თანამშრომლები კოორდინაციას უწევენ ადმინისტრაციული ერთეულების მუშაობას.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ 2023 წლის 9 იანვრიდან - 14 თებერვლამდე შემუშავებულ იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების გეგმა, რომელიც დამტკიცებულ იქნა 2023 წლის 14 თებერვალს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის №24.242205211 ბრძანებით.

საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების მიზნით საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა მიმართულების ტრენინგები გაიარა 147 (ასორმოცდაშვიდი) მოხელემ მათ შორის სასწავლო გეგმით დამტკიცებული საბაზისო ტრენინგკურსი ,,პიროვნული და პროფესიული უნარების განვითარება 14 მოხელე; ,,მოხელის მენეჯერული უნარები“ - 3 მოხელე; სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საბაზისო ტრენინგები სრულად იქნა შესრულებული. რაც შეეხება სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით ტრენინგებს, მოხელეთათვის ჩატარდა ტრენინგი: „ინვენტარიზაციის პროცესის მართვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში“,

ამასთან ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ტრენინგ-ცენტრებთან, არასამთავრობო და სამთავრობო სექტორთან და მათი მხარდაჭერით სისტემატურად ტარდებოდა სხვადასხვა მიმართულების ტრენინგები, კერძოდ საჯარო სამსახურის ბიუროს მხარდაჭერით „ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში“; ,,საზოგადოება ბილიკის“ და სლოვაკური ორგანიზაცია „TENENET“-ის ორგანიზებით დაგეგმილ კონფერენციაზე „შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა და შრომის პოლიტიკის ოპტიმიზაცია საქართველოს შრომის ბაზარზე“; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის მიერ დაგეგმილ სწავლება ტრენინგი თემაზე: ,,ქონების მართვა”; ამავე ორგანიზაციის მხარდაჭერით ტრენინგი ,,შესყიდვები“, „2024-2027 წლების პრიორიტეტების განსაზღვრა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მომზადება“ და „ბუღალტერია - ფინანსური ანგარიშგება“; საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი - „სოციალური დიალოგის წარმოება და შრომითი ურთიერთობები“; საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) - ს მხარდაჭერით „ლიდერობა და მართვა ბავშვის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით“; საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის („ათეა“) და გაეროს ბავშვთა ფონდის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი: „საქართველოს მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ბავშვზე და ბავშვიან ოჯახებზე მორგებულ სოციალურ პროგრამირებაში“; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი „სივრცის დაგეგმარება - საქართველო 2023”; საჯარო სამსახურის ბიუროს, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) - მხარდაჭერით ჩატრადა ტრენინგი: „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა საჯარო სამსახურში ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე“; პოლონეთის რესპუბლიკის ფონდებისა და რეგიონული პოლიტიკის სამინისტროს პროექტის „საქართველოს რეგიონების

კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მეწარმეობის განვითარების“ ფარგლებში ჩატრადა ტრენინგი „სერთიფიცირებისთვის მომზადება-ინვესტორების მომსახურების სტანდარტები პრაქტიკაში“; ,,მერების შეთანხმების” ხელმომწერი მუნიციპალიტეტებისათვის ჩატარდა ტრენინგი: „კომუნიკაციის გაძლიერება მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის საკითხებზე“;

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სრულად არის დამუშავებული ყველა შემოსული კორესპონდენცია, განყოფილებაში დამუშავდა, მზადდებოდა პროექტები და გამოიცემოდა სხვადასხვა სამართლებრივი აქტები.

საანგარიშო პერიოდში მერიაში ვაკანტური პოზიციების დასაკავებლად ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა კონკურსი 14 ვაკანტურ პოზიციაზე, აქედან 5 ღია კონკურსის წესით, 8 შიდა კონკურსის წესით და 1 დახურული კონკურსი, ჯამში 14 ვაკანტურ პოზიციაზე შემოვიდა 76 (სამოცდათექვსმეტი) განაცხადი. აპლიკანტებიდან თოთხმეტივე ვაკანტურ პოზიციაზე გამოვლინდა გამარჯვებული.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ მ/ წლის 7 მარტიდან 15 მაისამდე შემუშავდა პროექტი და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 16 მაისის №ბ24. 242313613 ბრძანებით დამტკიცდა პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის აუცილებელი დამატებითი მოთხოვნები.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს მერიაში შემუშავებული სამართლებრივი აქტების, პროექტების, ხელშეკრულებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების და სხვა დოკუმენტების სამართლებრივი გამართულობას, მათი შესაბამისობის კონტროლს მოქმედ კანონმდებლობასთან, მუნიციპალიტეტის ნორმატიულ და სამართლებრივ აქტებთან; განყოფილება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის კანონიერი ინტერესების დაცვას სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოებში, სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

იურიდიული განყოფილების თანამშრომლები, მერიის სამსახურებისთვის მიმაგრებულები არიან დარგობრივად, უწევენ კონსულტაციას და ჩართულები არიან მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა კომისიებში, საბჭოებსა და სამუშაო ჯგუფებში.

იურიდიული განყოფილება კონსულტაციას უწევს მერიის დაქვემდებარებაში შემავალ ყველა შპს-სა და ა(ა)იპ-ის, სტრუქტურულ ერთეულებს, საჯარო მოსამსახურეებს და მერის წარმომადგენლებს. სისტემატიურად ეხმარება მოქალაქეებს ისეთი ტიპის საკითხებში, როგორიცაა: ქონებრივი დავა, განქორწინება, კერძო საკუთრების დარეგისტრირება, პირადი საბუთების მოწესრიგება და სხვა.

განყოფილებამ საანგარიშო პერიოდიში მონაწილეობა მიიღო მიმდინარე და დაწყებულ 40 პროცესში, რომლებშიც მონაწილეობა უმეტეს შემთხვევაში დასრულდა მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, ასევე, საანგარიშო პერიოდში განყოფილების მიერ მომზადდა სხვადასხვა ტიპის ბრძანებების და დადგენილებების პროექტები, მათ შორის 124 ბრძანება მეწარმეებისათვის პირგასამტეხლო თანხების დაკისრებისა და ხელშეკრულებების შეწყვეტის თაობაზე.

იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ მომსახურებას. განყოფილების სპეციფიკიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე ჩართულია ყველა სტრუქტურის ფუნქციური პრობლემების გადაჭრასა და მოგვარებაში.

საანგარიშო პერიოდში შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა შეადგენს 455, გასული კორესპონდენციის რაოდენობა შეადგენს 338, შიდა კორესპონდენციის 903, ვიზა დადებული დოკუმენტები 6274.

მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება მერიის გამართული მუშაობისთვის ახორციელებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს: მერიის სამსახურებს ამარაგებას ტექნიკით, საკანცელარიო ნივთებით, ასევე აგვარებს მერიის შენობების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებულ საკითხებს და სხვა.

შრომის უსაფრთხობის განყოფილების წინადადებით, 2022 წელს მერიის მიერ, სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გამოცხადებულ ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებული სუბიექტი. ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს ფინანსური რესურსების მოძიება შესაბამისი შესასრულებელი სამუშაოების დაფინანსებისათვის.

ასევე, შეფასდა ზუდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შენობისა და სამუშაო პირობების შესაბამისობა კანონით დადგენილ ნორმებთან.

❖ ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახური

1. ქონების მართვის განყოფილება

საანგარიშო პერიოდში ქონების მართვის განყოფილებაში განსახილველად შემოვიდა 1676 განცხადება და მომართვა.

ელექტრონული აუქციონის ფორმით (პირობებით და უპირობოდ) პრივატიზებული იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 12 ერთეული უძრავი ქონება. ელექტრონული აუქციონის ფორმით (პირობებით) დემონტაჟის მიზნით პრივატიზებული იქნა 2 ერთეული უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობა). ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებული იქნა ერთი ერთეული მოძრავი ქონება (ავტოსატრნსპორტო საშუალება- LEQSUS GX 470).

უძრავი ქონების პრივატიზებიდან ადგილობრივ ბიუჯეტში 01.10.2023 მდგომარეობით შემოსულია **420 500** ლარი, ხოლო **მოძრავი ქონებიდან 30 200** ლარი. მიმდინარე წლის 10 ოქტომბრისათვის ქ.ზუგდიდი, რუსთაველი ქ. N95/მარცხენა სანაპიროს ქუჩაზე მდებარე1675კვ.მ უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობით) პრივატიზებიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ჩაირიცხება **1 450 000** ლარი. შესაბამისად სულ უძრავი ქონების პრივატიზებიდან შემოსული ჯამური თანხა იქნება **1 870 500** ლარი, ხოლო მოძრავი ქონებიდან **30 200** ლარი ამ მიმართულებით გრძელდება მუშაობა.

სააგარიშო პერიოდისათვის სასყიდლიანი იჯარის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით გაფორმდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთები, ბოძის ნაწილი- წერტილები, ბანკომატი) 17 საიჯარო ხელშეკრულება ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, რომლთა წლიური საიჯარო საფასურის ოდენობა შეადგენს 54648 ლარს. ელექტრონული აუქციონით გაცემულ ქონებაზე გაფორმდა 1 საიჯარო ხელშეკრულება. წლიური საიჯარო საფასურის ოდენობა შეადგენს **4100**

ლარს. სულ საიჯარო ქირის წლიური ოდენობა შეადგენს **54648** ლარს. ამ მიმართულებით გრძელდება მუშაობა.

ასევე პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო აღნაგობის ფორმით 2 წლის ვადით გადაეცა „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“ საბავშვო ბაღების ასაშენებლად სოფ. დარჩელში 5186 კვ.მ, სოფ. შამგონაში 3040 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები; საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს აღნაგობის უფლებით 49 წლის ვადით ქ. ზუგდიდი, კ. გამსახურდიას მე-2 შესხვევში მდებარე 708კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ჟანგბადის საამქროს ასაშენებლად და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აღნაგობის უფლებით 49 ვადით გადაეცა ქ. ზუგდიდი, თბილისის ქუჩაზე მდებარე 1206კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შემოსავლების სამსახურის რეგიონალური სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ასაშენებლად. ასევე იგეგმება „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის“ საბავშვო ბაღების მშენებლობისათვის სოფ. ოქტომბერსა და ოდიშში მდებარე მიწის ნაკვეთების აღნაგობის უფლებით გადაცემა.

22 ფიზიკურ, კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, სსიპ-ებს და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებს და შპს-ებს პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის და თხოვების ფორმით სარგებლობაში გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონება. საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში და სარგებლობაში გადმოეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 28 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საერთო ფართობით 149693კვ.მ. სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცა 12 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები შენობა-ნაგებობებთან ერთად და მათ გარეშე. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხობრებ 16 მოქალაქეს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა მათ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართები. განყოფილება ყოველდღიურ რეჟიმში კონსულტაციას უწევს მოქალაქეებს საცხოვრებელი ფართების და მიწის ნაკვეთების საკუთრებაში დარეგისტრირების საკითხებზე.

2. მუნიციპალური სერვისებისა და ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილება

1. მუნიციპალური სერვისები:

1. ***დამისამართების აბრები*** *- მიმდინარ წლის მე-2 კვარტალში გამოცხადებული ტენდერით შესყიდულ იქნა: ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე არსებული*

ცენტრალური: რევაზ ლაღიძის, თამარ მეფის, კონსტანტინე კამსახურდიას, სოხუმის ქუჩების, და ამ ქუჩების გადასახვევებში არსებული ქუჩების დასაწყისში და ბოლოში „ქუჩის დასახელებისა და მიმართულების მანიშნებელი ორმხრივი აბრები ბოძებით“(მომსახურება-მონტაჟით).

აბრები დამონტაჟდა აღნიშნული ცენტრალური ქუჩების გდასახვევებში არსებული ქუჩების დასაწყისში - სულ 82 ერთეული.

*განსახორციელებელი სამუშაოების ჯამური ღირებულებამ შეადგენა - **53 710 ლარი***

1) გაზიფიკაცია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სრულად გაზიფიცირებულია: ქალაქი და 48 ადმინისტრაციული ერთეულიდან - 44 ადმინისტრაციული ერთეული.

მომზადდა დოკუმენტაცია და შესყიდულ იქნა მომსახურეობა შპს „სოკარ-ჯორჯია გაზი“-დან - მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების გაზიფიცირების გარე და შიდა ქსელის მოწყობაზე: ქ. ზუგდიდი, გორის ქ. N17 მდებარე შენობის გაზიფიცირების ქსელზე დაერთებაზე (გარე ქსელის მოწყობა)

2) ელ. მომარაგება

მომზადდა დოკუმენტაციები და შესყიდულ იქნა მიერთების მომსახურეობები სს. „ენერგო პრო ჯორჯია“-დან შემდეგი ობიექტების ელ. მომარაგებასთან (დაერთება) დაკავშირებით:

ადმინიატრაციულ ერთეულებში ქუჩების და მინი სტადიონების გარე განათების ობიექტებზე - 10 ობიექტი; ქ. ზუგდიდი, გორის N17-ში მდებარე შენობის ელ მომარაგების სიმძლავრის გაზრდაზე - 1 ობიექტი; კორპუსების ეზოს შესასვლელში მოწყობილი შლაგბაუმების ელ. ქსელზე დაერთებებზე - 1 ობიექტი; ანაკლია, ზღვისპირა ტერიტორიაზე არსებული ი/მეწარმეების სარგებლობაში არსებული (იჯარა) ობიექტების დროებითი (4 თვით საკურორტო სეზონის განმავლობაში) ელ. მომარაგებაზე. - 6

3) წყალმომარაგება

მომზადა დოკუმენტაციები და შესყიდულ იქნა მიერთების მოსახურეობები შპს. ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-დან, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ობიექტების - წყალმომარაგების და წყალარინების სისტემებთან მიერთებებთან დაკავშირებით: თბილისისა და შოთა რუსთაველის ქუჩის სკვერის წყალმომარაგების ქსელზე დაერთება. *მოქალაქეების განცხადებაზე, ცენტრალურ წყალმომარაგების სისტემიდან წყალმომარაგებაზე შუამდგომლობა (4 განცხადება)*

2. *ბუნებრივი რესურსები - წიაღისეული*

მომდინარე წლის განმავლობაში, ზუგდიდის მუნიციპლიტეტის მერიაში შესათანხმებლად შემოვიდა, აუქციონზე გასატანი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების 15 სალიცენზიო ობიექტი.

3. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა

გაეწია დახმარებები (კონსულტაცია) ამხანაგობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით 7 პოტენციურ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას. დაფუძნდა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის

მერიაში რეგისტრაცია განაახლა 1-მა და პერველადი რეგისტრაცია გაიარა 5-მა ახალდაფუძნებულმა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ.

2023 წლის ბიუჯეტის **„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით“,** განხორვიელდა თანადაფინანსების პრინციპით, მერიაში რეგისტრირებული სხვადასხვა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ წარმოდგენილი 10 **პროექტი.** 2023 ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა შეადგენდა 210 ათას ლარს, რომელიც ათვისებულია მიზნობრივად სრულად.

3. საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილება

2022 წლის ოქტომბერში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და კავკასიის რეგიონულ გარემოსდაცვით ცენტრს (REC Caucasus) შორის გაფორმდა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში კლიმატის ცვლილების გამომწვევი სათბურის აირების გაფრქვევების შემზღუდავი, კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ სტიქიურ მოვლენებთან საადაპტაციო და მდგრადი ენერგეტიკის ხელშემწყობი საქმიანობის დაგეგმვას და მდგრადი მომავლის უზრუნველყოფის სფეროში თანამშრომლობას. კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი, უზრუნველყოფს ტრენინგების ჩატარებას მერიის მიერ გამოყოფილი თანამშრომლებისთვის, კლიმატის სფეროში არსებული ანგარიშგების სისტემის შესახებ, მათ შორის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმების მომზადებასა და ანგარიშგების წესთან/ტექნიკასთან დაკავშირებით. აღნიშნულ პროექტს კოორდინაციას უწევს საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილება. გრძელდება ტრენინგები და სეკაპის გეგმის მომზადება, ასევე 2030 წლისთვის აღებული ვალდებულებების შესრულებისთვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.

2022 წელს „განახლებადი ენერგიის ინსტიტუტი“ (IEO)-მა დაიწყო UNIDO-ს პროექტი „საქართველოს რეგიონებისა და თემების გადასვლა მდგრადი ენერგეტიკული მომავლისკენ“ –„მზის ფოტოელექტრული (PV) სისტემები საქართველოს ქალაქებისთვის“. ეს არის გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) პროექტი, რომელიც ხორციელდება საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით. პროექტის მიზანია მზის ენერგიის გამოყენების ხელშეწყობა და მზის ფოტოელექტრული (PV) სისტემების დანერგვა მუნიციპალური ეკონომიკის დონეზე. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შერჩეულია 5 საზოგადოებრივი შენობა, რომელზეც მიმდინარეობს ტექნიკური კვლევა პოლონელი ექსპერტების მიერ. პროექტი ფოკუსირებულია PV ინვესტიციების განხორციელების საპროექტო ფაზის მხარდაჭერაზე. აღნიშნულ პროექტს კოორდინაციას უწევს საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილება.

მომზადდა სხვადასხვა ნომინაციები და მოხდა ქალაქის წარდგენა საერთაშორისო პოზიციონირების კუთხით.

2023 წლის იანვრიდან დღემდე, საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილება, ახორციელებს საქართველო-პოლონეთის ერთობლივ პროექტს: ,,საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის ზრდა და მეწარმეობის განვითარება“.

პროექტის დონორია პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. აღნიშნული პროექტის განხორციელება დაიწყო 2021 წელს და დასრულდებს 2023 წლის ბოლოს. 2023 წლის თებერვლიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ფოთისა და სენაკის მუნიციპალიტეტებთან ერთად, ჩართულია საპილოტე პროექტში „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების (LED) სისტემის გაძლიერება საქართველოში“. პროექტი დაფინანსებულია შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ და ხორციელდება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის - , ორგანიზაცია „მეზოპარტნერი“ გერმანია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობით. 2023 წლის ივნისის ბოლოს დასრულდა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტის (SDG) შემუშავება. 2023 წლის მარტში, სოლიდარობის ფონდ PL საქართველოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში „ფონდების მოძიების აკადემია“, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთ გამარჯვებულად გამოცხადდა, სამ მუნიციპალიტეტთან ერთად. საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილება ჩართულია ევროკავშირის EU4Culture პროექტის „კულტურის განვითარების სტრატეგია 2022-2026 წწ“ განხორციელების პროცესში. 20 სექტემბერს, GIZ-ის პროექტი ,,მდგრადი ქალაქები საქართველოში“, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი გახდა გამარჯვებული მუნიციპალიტეტი. აღნიშნული პროექტი განხორციელდება 2 წლის განმავლობაში და მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტებისთვის - კლიმატზე ორიენტირებული, თანამონაწილეობითი, ფინანსირებისთვის მზა, ინტეგრირებული ურბანული განვითარების პროექტების შემუშავებას და განხორციელებას ურბანული ლაბორატორიების მეთოდოლოგიის დანერგვით.

- **ტრანსპორტის განყოფილება**

საგზაო ნიშნების მოწყობისა და მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის დასაფინანსებლად გამოიყო 220,0 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა შემდეგი პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებას, კერძოდ:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის მოწესრიგებისა და ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციის მიზნით, ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ტრანსპორტის განყოფილებამ სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრისა და შსს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად, ზუგდიდის ადმინისტრაციულ საზღვრებში განსაზღვრა ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების განთავსების ლოკაციები. სულ განისაზღვრა 169 ვიდეო-სამეთვალყურეო კამერა, მათ შორის: 83 ერთეული „ა“-ტიპის ავტომანქანის სახელმწიფო ნომრის ამომცნობი, 45 ერთეული „ბ“-ტიპის ზოგადი ხედვის და 41 ერთეული „გ“- ტიპის მართვადი ვიდეო-კამერები. მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 2684.0 (ორიმილიონ ექვსასოთხმოცდა ოთხი) ათასი ლარი. აღნიშნული მომსახურების შესყიდვაზე გაფორმდა მრავალწლიანი ხელშეკრულება **(NAT220019103).**

2022 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე შემოსულია 1052 განცხადება, განხილული და ადგილზე შესწავლილია ყოველი კონკრეტული წერილი. განხორციელებულია **43 850**

ლარის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მაფრთხილებელი და ამკრძალავი საგზაო ნიშნების შესყიდვა. (**NAT230006508**). მოსახლეობის განცხადებების საფუძველზე შევისყიდეთ 1500 ერთეული სიჩქარის შემზღუდავი ბარიერი (ე.წ „ბორცვი“) და ხელშეკრულება გაფორმდა **20 550** (ოცდათას ხუთასორმოცდაათი) ლარზე. **(NAT230013817)**

აღნიშნული საგზაო ნიშნების სამუშაოები განხორციელდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორაზე, ასევე ადმინისტრაციული ერთეულებში. საგზაო ნიშნებისა და ბორცვების ნაწილი განთავსებულია, ხოლო ნაწილის განთავსება ამ ეტაპზეც მიმდინარეობს. ასევე, შესრულებულია ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 112457 (ასთორმეტი ათას ოთხასორმოცდაჩვიდმეტი) ლარი, (**NAT230012989**). ასევე აღნიშნულ ქუჩებზე მოეწყო ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელები ე.წ. ,,ზებრა'' ხაზები, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა.

ზუგდიდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ: თამარ-მეფის და ქუთაისის ქუჩების კვეთაზე არსებული სატრანსპორტო კვანძის მოსაწყობად შესყიდულ იქნა საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურეობა, რომლის ღირებულება შეადგენს 2000 ლარს, აღნიშნული სამუშაოები დასრულებულია.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ჯი თი გრუპ“-ს შორის 2023 წლის 19 ივნისს გაფორმებული №191 ხელშეკრულების თანახმად, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროეტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 ივნისის N1085 განკარგულების საფუძველზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტისათვის გათვალისწინებულია 2 (ორი) ერთეული M3 კატეგორიის ავტობუსის შესყიდვა, შესყიდვა ხორციელდება მრავალწლიანი შესყიდვით. (CON230000270).

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში პერიოდულად ვახორციელებთ საავტომობილო გზებზე საგზაო ნიშნების დამატებასა და განახლებას, გამოცხადებული ტენდერების საფუძველზე წლის ბოლომდე დამატებით გათვალისწინებულია საგზაო ნიშნების შეძენა-მონტაჟი, საავტომობილო გზების ჰორიზონტალური მონიშვნითი სამუშაოები, სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იძულებით შემცირებისათვის სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის შეძენა, სატრანსპორტო საშუალებათა პარკირების მოწესრიგების ღონისძიებების განხორციელება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას და მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილებას.

4. ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილება

2022 წლის ბოლოს დაიწყო თხილის წარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა, რომლის განხორციელებაში აქტიურად ჩართულია სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის განყოფილება, რომელიც ასრულებს შუამავალ როლს ადგილობრივ მოსახლეობასა და პროგრამის განმხორციელებელ უწყებებს შორის. განყოფილების თანამშრომლები

ყოველდღიურ რეჟიმში უწევენ მონიტორინგს პროგრამის მიმდინარეობას. პროგრამაში მონაწილე საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს საკუთრებაშიან/და ფაქტობრივ მფლობელობაში უნდა გააჩნდეს თხილის ბაღი, ჯამურად არანაკლებ 0,2 ჰა და არაუმეტეს 3,0 ჰა. სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრება 500 ლარით - 1 ჰა თხილის ბაღზე გადაანგარიშებით. პროგრამის განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი უკავია მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში, რომლებთანაც მუდმივ კომუნიკაციაში არიან განყოფილების თანამშრომლები;

2022 წლის ნოემბერი/დეკემბერის თვეში მოვახდინეთ 33 ადმინისტრაციულ ერთეულში 1305 ადგილობრივი მოსახლეს გამოკითხვა სტატისტიკური მონაცემების განახლების მიზნით, რომლის შედეგად დაიდება სტატისტიკური მონაცემები სოფლის მეურნეობის მიმართულებით. ზუგდიდის მასშტაბით გამოკითხვის მეთოდით სტატისტიკური მონაცემების დამუშავება ხორციელდება პირველად, რაც მოგვცემს საშუალებას მივიღოთ რეალურთან მიახლოებული მონაცემები;

განყოფილების ხელშეწყობით მერიის სააქტო დარბაზში ორგანიზებულ იქნა რძის პლატფორმის დაფუძნების სამუშაო შეხვედრა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ფერმერთა ასოციაციის, IFAD-ის, სსიპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ და სხვა უწყებების წარმომადგენლები, ასევე მერძევეობის მიმართულებით მომუშავე ფერმერები. შეხვედრის მსვლელობისას გამოიკვეთა რიგი პრობლემები, ისაუბრეს გადაჭრის გზებზე და გასატარებელ ღონისძიებებზე;

მარტი/აპრილის თვეში განყოფილება ჩაერთო თხილის წარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში მეთხილეების რეგისტრაციის პროცესში, გაატარა რეგისტრაციაზე 1000 - მდე ბენეფიციარი, რამოდენიმე ასეულ ბენეფიციარს გამოვლენილ ხარვეზებზე გაუწია კონსულტაცია, შუამდგომლობა და ა.შ. რეაგირება ;

დაფნის ბაღების მოწყობის ხელშეწყობის პროგრამაზე განხორციელდა დაფნის ნერგის სახელმწიფო შესყიდვა, გამოვლენილია გამარჯვებული რკ „შამათია“, შესყიდვის ღირებულება 29 700 ლარი (ეკონომია 300 ლარი 30 000-29700)), რომელიც მიწოდებას განახორციელებს ოქტომბრის თვეში. შესაბამისი კომისიის მუშაობის შედეგად გამოვლინდა 64 ბენეფიციარი, რომლებიც გადასულები არიან შერჩევის ბოლო ეტაპზე , ამჟამად მიმდინარეობს ბოლოსწინა ეტაპისთვის ბენეფიციარების მიერ ნიადაგების აგროტექნიკური სამუშაოების შესრულების გადამოწმება ;

აგრალური რუკის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნიადაგების, მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის მომზადება) შექმნაზე მომსახურების ტენდერი მოიგო შპს „ჯეოლენდმა“ , შესყიდვის ღირებულება 40 952 ლარი , ხელშეკრულების შესრულების ვადაა ოქტომბრის დასაწყისი, ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამუშაოების მიღება ჩაბარების პროცესი;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ნიადაგი შემადგენლობის ლაბორატორიული კვლევების ჩატარებზე მომსახურების ტენდერში გაიმარჯვა „ასოციაცია სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის“, შესყიდვის ღირებულება 22620 ლარი (ეკონომია 4350 ლარი (26970-22620)), ამჟამად მიმდინარეობს ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით სინჯების აღება;;

დაფნის ნერგების შესყიდვიდან მიღებული ეკონომიის ფარგლებში მუშავდება გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (UNFAO) სახელით შემოსული განცხადება , რომელიც ითვალისწინებს მერძეული მიმართულებით მომუშავე ქალი ფერმერების ეკონომიკური გაძლიერების პროექტში მონაწილე ქალბატონების ხელშეწყობას საქმიანობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნაში, კერძოდ სამაცივრე-დასავარგებელი სივრცითი უზრუნველყოფა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მერია ახორციელებს პროექტს „ ყველის შესანახი და დასავარგებელი სარდაფის მოწყობა“ და შესანახი სივრცის მოწყობისთვის „ ვიტრინა მაცივრის შეძენას“. შესაბამისი კომისიის მიერ ამ ეტაპისთვის გამოვლენილია პროგრამა „ყველის შესანახი და დასავარგებელი სარდაფის მოწყობის“ გამარჯვებული და უახლოეს მომავალში დაიწყება სარდაფის მოწყობის სამუშაოებზე სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები, სავარაუდო ღირებულება პროექტის შეადგენს 12 000 ლარს, ხოლო ვიტრინა მაცივრის შეძენის ღირებულება 3 000 ლარს ;

ღვინის ეროვნული სააგენტომ მიმდინარე წლის 5 ივლისს დაიწყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ვენახების კადასტრის პროგრამის განხორციელება, შესაბამისად ადგილზე კადასტრი იქმნება საველე პირობებში, მევენახეების გამოკითხვით და აერო-ფოტოებზე გამოხატული ვენახის ნაკვეთების იდენტიფიკაციით. აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში აქტიურად ჩაერთო განყოფილების თანამშრომლები;

ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების წარმოების ადგილობრივი ფერმერების ხელშეწყობის ფარგლებში მერიამ დააფინანსა ბათუმის მესამე შავი ზღვის ღვინის ფესტივალზე მონაწილეობის საფასური ადგილობრივი მეწარმეებისთვის, კერძოდ: შპს „მიშველია“ და შპს „ ლ.ლ.დისტილერია“. ღირებულებით 800 ლარი;

მუნიციპალიტეტის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს, განყოფილების ჩართულობით, აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები, რომელიც ითვალისწინებს კოორდინირებულად სამუშაო პროცესების წარმართვას, როგორც სეს-ის, პოლიციის დანაყოფების და მერის წარმომადგენლების ადმინისტრაციულ ერთეულებში შორის.

• შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი''

შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტის“ ძირითადი და მთავარი საზრუნავი არის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესება. ზუგდიდის ავტობუსის ქსელი, დაფარვის არეალის მიხედვით, ერთ-ერთი ყველაზე დიდია იმ 6 ქალაქს შორის, რომლებშიც ევროპის განვითარების ფონდის, მუნიციპალური განვითარების ფონდის, ცენტრალური აზიის ქვეყნების ჯგუფის და კომპანია ,,სისტრა“-ს მიერ დღესაც მიმდინარეობს კველევები მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურეობის გასაუმჯობესებლად. მუნიციპალური ტრანსპორტის პარკი მოიცავს სულ 40 ავტობუსს და 3 მიკროავტობუსს, რომელიც შედგება 25 ოტოკარის ფირმის, 15 ისუზუს ფირმის და 3 ფორდის ფირმის მიკროავტობუსებისგან, ისინი 31 მარშრუტზე ოპერირებენ, გარდა ამისა აშშ-ის USAID მიმდინარე პროექტის ფარგლებში, დამატებით 3 მიკროავტობუსი იქნა მოწოდებული სპეციალუურად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, რომლებსაც

სატრანსპორტო კომპანია მართავს. უახლოეს მომავალში დაემატება 2 სამგზავრო ავტობუსი ,,ისუზუ ნოვოსიტი“.

ზუგდიდში ავტობუსის ქსელი გამოირჩევა საზოგადოებრივი ტრნსპორტის მომსახურების შეთავაზების უნიკალური მახასიათებლებით, არა მხოლოდ ურბანულ ზონაში, არამედ ქალაქის მიმდებარე სოფლებშიც. ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია, ზუგდიდის ქსელში ყველაზე გრძელი მარშრუტი, რომელიც 70კმ_ზე მეტია და ანაკლიის, განმუხურის სანაპირო დასახლებას ქალაქის ცენტრთან აკავშირებს.

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ოქტომბრამდე შემოსავალმა შეადგინა სულ 5187056 ლარი, მათ შორის სუბსიდია შეადგენს 3214614 ლარს, ხოლო საკუთარი შემოსავალი 1825981 ლარს. ხარჯი შეადგენს 5106829 ლარს. გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა შეადგენს 2854021.

- **ააიპ ,,სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი”**

2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე ზუგდიდელმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 80-მდე საერთაშორისო, რესპუბლიკურ და ადგილობრივ, სპორტის 20-მდე სახეობის, ტურნირში. ზუგდიდში ჩატარდა 30-მდე სპორტული ღონისძიება, რომელიც დაფინანსებული იყო ადგილობრივი ბიუჯეტით. მათ შორის სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, რომელიც მოიცავს 7 სპორტის სახეობას, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 48 საჯარო და კერძო სკოლის 2000-ზე მეტმა სკოლის მოსწავლემ.

2022 წლის ოქტომბერში ალბანეთში მიმდინარე ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე ხუთი ზუგდიდელი (ნათია გადელია, ნიკოლოზ ესართია, მანუჩარ გოგოხია, გურამ ვეკუა, ირაკლი ჩხეიძე) ძალოსანი იცავდა საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ნაკრების ღირსებას.

2022 წელს სპორტის სხვადასხვა სახეობაში მიღწეული წარმატებისათვის 100-ზე მეტ ზუგდიდელ სპორტსმენს გადაეცა ფულადი ჯილდო 67.0 ათ. ლარის ოდენობით. 2023 წელს სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩემპიონი და პრიზიორი გახდა 100-ზე მეტი სპორტსმენი. მათგან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე თავი გამოიჩინა 14-მა ზუგდიდელმა სპორტსმენმა.

საქართველოს პირველობებზე წარმატებით იასპარეზა 90-მა ზუგდიდელმა სპორტსმენმა, ხოლო გუნდურ პირველობაზე ზუგდიდის ძალოსანთა ნაკრები გუნდი საქართველოს ჩემპიონი გახდა ჭაბუკებს შორის, ზუგდიდის U14-წლამდე გოგონათა გუნდი მე-3 ადგილზე გავიდა, ხოლო ზუგდიდის U12 წლამდე ნაკრებმა გუნდმა Jr. NBA- ს ეგიდით გამართულ საქართველოს პირველობაზე პირველი ადგილი დაიკავა.

- **შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“**

- განხორციელდა ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზულვარის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების ზოლის ფიტოსანიტარული მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციის (შუალედური დასკვნის) საფუძველზე განხორციელდა ხე-მცენარეების შეწამლვა და ნიადაგის გაჯერება მინერალური სასუქებით, აღნიშნული სამუშაოებისთვის ჯამში გაიხარჯა 11179 ლარი.
- განმუხურის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ფეხბურთის მოედნის მინდვრის საფარის მოვლა-პატრონობა; საქონლის/მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 8150 ლარი;
- ანაკლიის ქვიშის ფრენბურთის მოედნების მავლა-პატრონობის მიზნით დაიყარა კვარციტული ქვიშა ღირებულებით 3400 ლარი.
- 2023 წლის 11,12,13 იანვარს და ივნისის თვეში განვითარებული სტიქიის შედეგად ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზულვარის ტერიტორიაზე დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა (სხვადასხვა ტექნიკის დაქირავება და ელ. საშემდუღებლო სამუშაოები); მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 8250ლარი.
- განხორციელდა ანაკლია-განმუხურის სანაპირო და მიმდებარე ტერიტორიის 7-ჯერადი მოთიბვის სამუშაოები 48125 ლარის ფარგლებში.
- ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზულვარის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად (შეძენილი იქნა სამეურნეო და ელექტრო საქონელი, ასევე სტადიონის მინდვრის საკრეჭი ტრაქტორისა და საკრეჭ-სათიბი აპარატურის სათადარიგო ნაწილები, საპირფარეშოების კარები, აღნიშნული სამუშაოებისთვის ჯამში გაიხარჯა 17372,4 ლარი.
- დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის მიერ ჩატარდა საზოგადოების 2022 წლის საანგარიშო პერიოდზე ფინანსური და მართველობითი ანგარიშგების აუდიტი; მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 4500 ლარი.
- ჩატარდა ანაკლიის სანაპირო ზულვარისა და განმუხურის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის წყალარინების სისტემის მოწყობის სამუშაობი, რომლის ფარგლებშიც გაიხარჯა 51794,44 ლარი

ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელი ხიდის მოაჯირის მინების აღდგენითი სამუშაოები 94987,89 ლარის ფარგლებში.

- ანაკლიის ბულვარის შესასვლელთან დამონტაჟდა ელ. რეგულირებადი შლაგბაუმი 4204,75 ლარის ღირებულებით.
- შეძენილი იქნა ღია სპორტული მოედნის (ტრენაჟორები) საპროექტო - სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაცია , რომლის ღირებულებამ შედაგინა 600 ლარი.
- ბულვარის ზედამხედველებისთვის შეძენილი იქნა ბრენდირებული მაისურები და კეპები, ასევე ლაბადები და რეზინის ჩექმები საერთო ღირებულებით 2860 ლარის ფარგლებში.
- ანაკლია-განმუხურის ბულვარის სეზონის გახსნასთან დაკავშირებით დაიგეგმა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის სცენის ეფექტებით, განათების მოწყობით და გახმოვანების აპარატურით მომსახურება 9990 ლარის ფარგლებში.
- განხორციელდა განმუხურის ამფითეატრის დაზიანებული მინის კარ-ფანჯრებისა და საკეტების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ფარგლებშოც გაიხარჯა 1530 ლარი.
- შეძენილი იქნა კომპიუტერული ტექნიკა 4921 ლარის ფარგლებში
- ასევე შეძენილი იქნა სანიტარულ-ჰიგიენური საქონელი1640,4 ლარის ფარგლებში.
- ანაკლისს შადრევნების ტუმბებს ჩაუტარდ სარემონტო სამუშაოები 900 ლარის ფარგლებში.
- შეძენილი იქნა 3960 ლარის 6 ერთეული ხელის რადიოსადგური.
- ანაკლია-განმუხურის ბულვარის ტერიტორიაზე დაზიანებული წყალმომარაგების ქსელის აღდგენითი სამუშაოებისთვის ტექნიკის დაქირავება; მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 1750 ლარი.
- აუდიტორული საშემფასებლო მომსახურებები: სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ერთჯერადი საფეხბურთო შეკრების, საზოგადოების საკუთრებაში არსებული საკონცერტო სცენის საბალანსო ღირებულების, განმუხურის კაფეების , შეზლონგების, განმუხურისა და ანაკლიის პლაჟის სექტორებად დაყოფილი მიწის ნაკვეთების საიჯარომ ღირებულებების დასადგენად, მომსახურების ღირებულებამ საერთო ჯამში შეადგინა 4500 ლარი.
- ანაკლიისა და განმუხურის პლაჟის ტერიტორიის სექტორებად დაყოფის აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის მომზადების შესყიდვის მომსახურება 3800 ლარის ფარგლებში.

- ა(ა)აიპ ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე“

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე” წარმოადგენს სკოლისგარეშე, მრავალპროფილიან სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც მოზარდებს, ახალგაზრდებს ეხმარება თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებასა და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენაში. უზრუნველყოფს პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას, საყმაწვილო ჟურნალისტიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევების ათვისებისათვის პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვას, ხელოვნების სხვადასხვა დარგის მაღალპროფესიულ დონეზე სწავლებასა და პოპულარიზაციას.

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის“ 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნება შეადგენს 970 000 (ცხრაას სამოცდაათი ათასი) ლარს. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 იანვრის N6 დადგენილების საფუძველზე ასიგნება გაიზარდა 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარით და დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობამ შეადგინა 1 020 000 (ერთი მილიონ ოცი ათასი) ლარი.

„მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში“ 2023 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით დასაქმებულია 75 თანამშრომელი. (მ/შორის შტატით-73 ერთეული , ხოლო შტატგარეშე -2 ერთეული). 9 თვის მონაცემებით საკასო ხარჯების მოცულობამ შეადგინა- **771 637,09** ლარი რაც დაზუსტებული გეგმის 99,69%-ია. 01 იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით საკუთარი სახსრების ფაქტიური შემოსავალი (სწავლის ქირა, დარბაზის ქირა, სხვა შემოსავლები)- **31424,50** ლარია.

სანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

ინტელექტკლუბმა ინტელექტუალური თამაში ,,რა? სად? როდის?“ ჩაატარა 5-ჯერ, ,,ჭკუის კოლოფი'' უმცროსკლასელთა შორის ჩაატარა 5-ჯერ, ინტელექტუალური თამაში ''მოაზროვნე'' ჩაატარა ერთხელ. ჩატარდა ვიქტორინა-კონკურსის ''ჩვენ ვკითხულობთ'' სამი ტური და ფინალი. ინტელექტუალური კლუბის „რა? სად? როდის?“ პედაგოგებმა ჩაატარეს გაკვეთილი თემაზე „ქართულ-ევროპული ურთიერთობები“ , პოეზიის დღესთან დაკავშირებით ლექცია-სემინარი. ინტელექტკლუბმა ვიქტორინა-კონკურსის ''იცოდე შენი კუთხის ისტორია'' ორი ტური და ფინალი ჩაატარა. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის ახალგაზრდობის, განათლებისა და კულტურის ცენტრის მიერ პროექტის ''ქრისტეს გზა - ჩვენი ევროპული არჩევანი'', ვიქტორინა-კონკურსის " ორი ეტაპი ჩატარდა.

ჟურნალისტთა კლუბმა "სარკმელი", საინფორმაციო პლათფორმა ''ჩემი მედიასახლის'' და ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის მხარდაჭერით ფოტომარათონი ''კადრის ფესტივალი'' გამართა. სასახლის, ბოტანიკური ბაღისა და საინფორმაციო პლატფორმა " ჩემი მედიასახლის" ინიციატივით ჩატარებული ფოტომარათონი "კადრის ფესტივალის" ფარგლებში, ჟიურის წევრები შეიკრიბნენ და გამარჯვებულები გამოავლინეს სხვადასხვა ნომინაციაში. ჟურნალისტთა კლუბის ''სარკმელი'' წევრმა მამუკა მოლაშხიამ საკუთარი ნაშრომის პრეზენტაცია გამართა.

საყმაწვილო თეატრმა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოების მიხედვით მონოსპექტაკლის ''ჩხიკვთა ქორწილი'' პრემიერა გამართა. ნ. წულეისკირის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით, მონოსპექტაკლის ''სისატურა'' პრემიერა გამართა.

არტ-შემოქმედებითმა ჯგუფმა საკუთარი ნამუშევრების გამოფენა მოაწყო.

დრამატულმა სტუდიამ "შთამომავლები" სპექტაკლის „ხუთკუნჭულა" პრემიერა გამართა. ჩაატარა პოეზიის საღამო, ,,ლექსო, ნუ დაიკარგები''.

სამეჯლისო-სპორტული ცეკვების სტუდია ,,ეზი" საჩხერის მუნიციპალიტეტში გამართულ სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ფესტივალზე ,,იმერეთის ფასი 2023", საქართველოს ეროვნული საბჭოს საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსზე და ქ. ფოთში გამართულ კონკურსზე ''კოლხეთის თასი-2023'' მონაწილეობდა.

მუსიკალურ-თეატრალური სტუდია ,,რიბირაბო" და ანსამბლი ,,გინცი" მონაწილეობდა ქართული ფოლკლორისა და ტურიზმის განვითარების კავშირის ფესტივალზე ,,კოლხიდა არტ-ფესტი". სასახლის მუსიკალურ-თეატრალურმა სტუდიამ ''რიბირაბო'' კონცერტი თემაზე: ''დედაშვილობა'' ჩაატარა.

ვოკალური ანსამბლი ''რეტრო'' ქ. ბათუმში Art Fest Association – Megic Group მეცამეტე საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე ''Golden Star'' მონაწილეობდა (ხელმძღვანელი ნანა ნოდია). ასევე მიიღო მონაწილეობა ბულგარეთში, ქ. ვარნაში საერთაშორისო კონკურსში ,,სლავიანსკი ვენეც 2023". ანსამბლი უმაღლესი ჯილდოს გრან-პრის და ტურალის პრიზის მფლობელი გახდა.

მუსიკალური ბენდი ''ზუგდიდი'' ბულგარეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ვარნაში გამართულ ფესტივალ-კონკურსზე, ''WONDERLAND FROM VARNA WITH LOVE''2023 გრან-პრის მფლობელი და ფესტივალის გამარჯვებული გახდა.

სასახლის ქორეოგრაფიულ ანსამბლს ''მტრედები'' ქალაქ ფოთში გამართულ ჯანო ბაგრატიონის სახელობის, კოლხურ-ლაზური ფოკლორული სიმღერისა და ცეკვის ფესტივალ-კონკურსზე ''დიდი ჯანო'' , მიენიჭა ლაურეატის წოდება.

სასახლის შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით კონცერტი სახელწოდებით "გაზაფხულის სურნელი" გაიმართა. სასახლის ფოიეში გამოფენილი იყო ახალგაზრდა მხატვრის, გიგი სიჭინავას ნამუშევრები.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ქორეოგრაფთა კავშირისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის მიერ, რეზო ბულიას სახელობის VI ხელოვნების ფესტივალი "ქართული ცეკვა სული ერისა" ჩატარდა, რომელშიც სასახლის ქორეოგრაფიული ანსამბლები ,,მტერდები" , „ყილოშტყებამი" და ,,თუთარჩელა'' მონაწილეობდნენ. საქართველოს ქორეოგრაფთა აკადემიის მიერ, ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და საცეკვაო ხელოვნების სფეროში ხანგრძლივი პრაქტიკული მოღვაწეობისთვის, „საქართველოს ხელოვნების ბრწყინვალების ორდენით" დაჯილდოვდა ღვაწლმოსილი ქორეოგრაფი გურგენ სამუშია. დედაენის დღეს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერმა მამუკა წოწერიამ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, იაკობ გოგებაშვილის ბიუსტი გვირგვინით შეამკო. იაკობ გოგებაშვილის ბიუსტთან სასახლის პანტომიმის დასმა დამსწრე საზოგადოებას ფლეშმობი წარუდგინა, ხოლო დრამატული სტუდია კი ლიტერატურული კომპოზიციით ''ო, ენავ, ჩემო'' წარსდგა.

❖ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილ იქნა - 650 მოქალაქე. მათ შორის 168 წვევამდელის პირადი საქმე გადაიგზავნა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 2023 წლის საგაზაფხულო გაწვევა და მიმდინარეობს საშემოდგომო გაწვევა. საანგარიშო პერიოდში წვევამდელთა შემკრებ გამანაწილებელ პუნქტში გაგზავნილ იქნა 368 წვევამდელი; მათ შორის 312 წვევამდელმა მუდმივმოქმედი სამედიცინო საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე მიიღო გადავადება ჯამრთელობის მდგომარეების გამო.

სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ იქნა 52 წვევამდელი, არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახურის გასავლელად ჩაირიცხა 4 წვევამდელი. გამწვევი კომისიის მიერ სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან განთავისუფლების ან გადავადების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 849 წვევამდელზე; გაწვევისაგან განთავისუფლების შესახებ 13; სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების შესახებ 836; გაწვევისაგან თავის ამრიდებელ 100 წვევამდელზე მასალები გადაეცა პოლიციას და გამოცხადდა 33 წვევამდელი.

საანგარიშო პერიოდში სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილ იქნა 426 რეზერვისტი. მათ შორის სავალდებულო და საკონტრაქტო სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი 89; ძალოვანი სტრუქტურებიდან დათხოვნილი 51 რეზერვისტი. 27 წლის ასაკის შესრულების გამო რეზერვში ჩაირიცხა 283; რეგისტრაციის ადგილის შეცვლის გამო 3 რეზერვისტი. არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახურის აღრიცხვაზე აყვანილ იქნა -5 რეზერვისტი. ამავე პერიოდში სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნილ იქნა 143 რეზერვისტი; მათ შორის გადაყვანილ იქნა შესაბამისი ორგანოს სპეციალურ აღრიცხვაზე - 48; გადავიდა სხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცხოვრებლად - 48; გარდაიცვალა - 47. გაგზავნილია საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის გასავლელად - 37 რეზერვისტი, აქტიურ რეზერვში ჩაირიცხა - 15. სანგარიშო პერიოდში გაცემულ იქნა რეზერვისტის დროებითი მოწმობა (სამხედრო ბილეთის შემცვლელი) – 110 რეზერვისტზე და წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობა 301 წვევამდელზე. სამსახურის მუშაობის ხელისშემშლელ პირობას წარმოადგენს სსიპ საქართველოს ქრისტიანული, ევანგელური, პროტესტანტული ეკლესია "ბიბლიური თავისუფლება"-ს მიერ წვევამდელებზე გაცემული მოწმობები მღვდელმსახურის წოდების მინიჭების შესახებ (წარმოადგინა - 233 წვევამდელმა).

❖ შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახური

აუდიტორული საქმიანობა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილებამ 2022 წლის 01 ოქტომბრიდან 2023 წლის 01 ოქტომბრამდე პერიოდში:

- ✓ ჩაატარა 4 აუდიტი, მათ შორის 3 - შესაბამისობის და 1 სისტემური აუდიტი; ჩატარებული აუდიტებიდან სულ გაიცა 21 რეკომენდაცია; გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი განხორციელდა 2 ობიექტში;
- ✓ ამჟამად მიმდინარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის ეფექტიანობის აუდიტი;

<u>ინსპექტირება</u>

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის ინსპექტირების განყოფილების მიერ, მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ან/და წილობრივი მონაწილეობით არსებულ იურიდიულ პირებში 2022 წლის 01 ოქტომბრიდან 2023 წლის 01 ოქტომბრამდე პერიოდში:

- ✓ ჩატარდა 75 ინსპექტირება; შედგენილ იქნა 14 ინსპექტირების დასკვნა; გაცემულ იქნა რეკომენდაცია კერძო სამართლის იურიდიული პირების 71 მოსამსახურის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების თაობაზე;
- ✓ მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთა მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის სავარაუდო ფაქტებთან დაკავშირებით ჩატარებულ იქნა 2 დისციპლინური წარმოება, რომლის საფუძველზეც შედგენილ იქნა დისციპლინური წარმოების დასრულების შესახებ 2 დასკვნა. აღნიშნული დასკვნების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით 2 მოსამსახურეს შეეფარდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა;
- ✓ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული ინფრასტრუქტუ-რული პროექტების საგარანტიო ვადებში ხარვეზების/ნაკლოვანებების გამოვლენის და შემდგომი რეაგირების მიზნით, დათვალიერებულ იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული 253 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთაგან 46 ობიექტთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიმართ გაცემულ იქნა 46 მითითება უზრუნველეყოთ აღნიშნული ხარვეზების/ნაკლოვანებების აღმოფხვრა კანონმდებლობის შესაბამისად;
- ✓ შემსრულებლების მიერ სამშენებლო სამუშაოების დასრულების შესახებ მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, განხორციელდა 48 ინფრასტრუქტურული პროექტი შემოწმება, რომელთაგან 5 ობიექტზე გამოვლინდა შეუსაბამობა ინფრასტრუქტურული პროექტების შემსრულებლების მიერ მერიაში წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ფაქტობრივ მდგომარეობას შორის, შესაბამისად აღნიშნულთან დაკავშირებით გაცემულ იქნა 5 მითითება მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიმართ.

საანგარიშო პერიოდში მიღწეული გარკვეული დადებითი შედეგების მიუხედავად, მუნიციპალიტეტის სოციალურ-კულტურული პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების თვალსაზრისით არსებული საჭიროებების დაკმაყოფილება მოითხოვს გაცილებით მეტ ფინანსურ რესურსს, ვიდრე დღეს ბიუჯეტს ამის შესაძლებლობა გააჩნია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში დეცენტრალიზაციის სახელმწიფო პროგრამის ეტაპობრივი განხორციელების კვალობაზე, მუნიციპალიტეტს ექნება საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის პოტენციალი ახლო მომავალში, რითაც შეიქმნება მყარი ფინანსური ბაზა და შესაძლებელი გახდება თვითმმართველი ერთეულის ინფრასტრუქტურული პროექტების, ჯანდაცვის, სოციალურ-კულტურული დანიშნულების პროგრამებისა და ქვეპროგრამების სრულყოფილად დაფინანსება.